MES 3 21 0000776618

06/08/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 23.07.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

9. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2.	ნათია ღაჭავა	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსი	I
3.	მიხეილ სამსონია	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
4.	ნატო ალავიძე	სსიპ - აკაკი წერეთლის	მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის	I

		სახელმწიფო უნივერსიტეტი	უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
5	ირაკლი კორძაია	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მ.შ.	II
6	მარინა ქორიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი	II
7	თეა ქოიავა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასისტენტ პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	II
8	ხათუმა ჭიჭილეიშვილი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასისტენტ პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
9	ნაზიბროლა ფაღავა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	დავით ჯალაღონია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	III
11	გიორგი ბერულავა,	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი,	III
12	ირმა დიხამინჯია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	III
13	ნინო ხარებავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	III
14	რომეო გალდავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
15	თეა კბილცეცხლაშვილი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორის მოადგილე	IV
16	ნინო ჯოჯუა			IV

		შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით	
17	ეკატერინე ბაკარაძე	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	სამართლის ფაკულტეტის დეკანი	IV
18	ვახტანგ ზაალიშვილი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
19	ეკა კაველიძე	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	მოწვეული ლექტორი	IV
20	ირაკლი კლდიაშვილი	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	მოწვეული ლექტორი	IV
21	თამარ შუდრა	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	იურიდიული სამმართველოს უფროსი	IV
22	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V-VI
23	გიგა ზედანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი, პროფესორი	V-VI
24	თამარ ცოფურაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, ფილოსოფიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	V-VI
25	მაკა ლაშხია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	V-VI
26	გიორგი მაისურაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	V-VI
27	ნინო როდონაია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	V-VI
28	თამარ ცხადაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	V-VI
29	მარინა ადამია		პროფესორი	V-VI

		სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი		

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ია ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო ბარათაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
4	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნოდარ ფოფორაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მარიამ ელიზბარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	მარიამ ლობჟანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ნათია დაღელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ნონა ზუბიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	გიორგი თავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
13	თინათინ ბოჭორიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
14	რუსუდან თაყაიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
15	ქეთევან ბოლაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი “გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „შედარებითი და კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამუსიკო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი “გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „შედარებითი და კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამუსიკო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N862042, 4.09.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფარმაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია 0916
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	-
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქ. №59; ქალაქი ქუთაისი, სასწავლო კორპუსი №11 (ახალგაზრდობის გამზირი №100), 4600, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფარმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ია ფანცულაია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში" ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 2021 წლის 31 მაისს–1 ივნისს. 31 მაისს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს სასწავლო ბაზები (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები). ვიზიტის დროს უნივერსიტეტის წარმომადგენელთა მხრიდან იყო უზრუნველყოფილი პროცესში მონაწილე ყველა პირის ჩართულობა, ექსპერტებს მიეცათ შესაძლებლობა, დაეთვალიერებინათ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. შეხვედრა შედგა კონსტრუქციულ და სამუშაო გარემოში. 1 ივნისს, ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა სრული შემადგენლობით ვიზიტი განაგრძო დისტანციურად. კერძოდ, ინტერვიუ შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან. ინტერვიუს ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან შეჯერებული ძირითადი მიგნებები.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფარმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია ფანცულაიამ ისაუბრა რეკომენდაციებზე, რომელიც შემუშავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში და აღნიშნა, რომ 2020 წლის სექტემბერში აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით, პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ პროგრამასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების 90%-ზე მეტი შეასრულა. კერძოდ,

სილაბუსებში გაიწერა სტანდარტული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, მოხდა უცხო ენის სწავლების დამატება, კურიკულუმში შეტანილი იქნა სასწავლო პრაქტიკები ფარმაცევტულ ტექნოლოგიასა და ფარმაცევტულ ანალიზში, არჩევითი საგნების მოდული გახდა გაცილებით მრავალფეროვანი, სავალდებულო გახდა კვლევის შედეგების გამოქვეყნება რეცენზირებად საერთაშორისო ჟურნალში, რაც ექსპერტის განმარტებით ძალიან მნიშნელოვანი იყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია ფანცულაიამ ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად პანდემიის პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული ცვლილებებისა, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. (1.2 ქვესტანდარტი) გასაძლიერებელია პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას კვლევითი ნაწილისა და ავტორისეული ორიგინალური ხედვის წარმოჩენაზე მეტი ყურადღების მიქცევა.
2. (2.3 ქვესტანდარტი) სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ტექნიკური და გარკვეული შინაარსობრივი ხარვეზების (მაგალითად: საგნების „სამეცნიერო წერის საფუძვლები“ და „აკადემიური სწავლების უნარ-ჩვევები“ სილაბუსის შინაარსიდან რამდენიმე საკითხში გადაკვეთის გასწორება) აღმოფხვრა.
3. (2.3 ქვესტანდარტი) რეკომენდებულია სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში აქტივობების შემცირება, ისე რომ რეალისტური და სემესტრის განმავლობაში მიღწევადი იყოს;
4. (3.1 ქვესტანდარტი) უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში;
5. (3.2 ქვესტანდარტი) რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში მრავალფეროვანი კვლევის მეთოდების გამოყენება და ხელმძღვანელთან მეტი ერთობლივი მუშაობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია ფანცულაიამ ხაზი გაუსვა, რომ ეს იყო ის ძირითადი რეკომენდაციები, რომელიც შემუშავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, თუმცა, ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო შემუშავებული რჩევები, რომლებიც ინსტიტუციის მხრიდან არ იყო სავალდებულოდ შესასრულებელი მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები ინსტიტუციის მხრიდან არასავალდებულოდ შესასრულებელი ხასიათისაა, ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ, ია ფანცულაიამ ყურადღება გაამახვილაერთ-ერთ რჩევაზე, კერძოდ: „სასურველია რეცენზენტის შერჩევის წესში შევიდეს ტექნიკური ცვლილება ნაცვლად „ხელმძღვანელი ირჩევს“ იყოს „ხელმძღვანელი წარადგენს“.“ ია ფანცულაიამ განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო ინსტიტუციას ყურადღება გაემახვილებინა აღნიშნულ რჩევაზე, რადგან ინსტიტუციამ თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი.

15:07 საათზე საბჭოს შემოუერთდა დიანა, მჭედლიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუცია იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს და ინსტიტუციის მხრიდან დაწყებული იყო მათი შესრულება.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, მიხეილ სამსონიამ ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე და განმარტა, რომ 2009 წლიდან ხორციელდებოდა ფარმაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და მიზნად ისახავდა ფარმაციის კვალიფიციური მაგისტრის მომზადებას, რომელსაც ერთის მხრივ ექნებოდა ფუნდამენტური დისციპლინების ღრმა და სისტემური ცოდნა და მეორეს მხრივ ფარმაციაში პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობისათვის აუცილებელი უნარები. აღნიშნული ცოდნა და უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს: უპრობლემოდ განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის არსებობის პირობებში ნებისმიერი მედიკამენტის თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, აქტიურად წარმართოს მზა წამალთფორმების სერიული წარმოება, მოახდინოს ეფექტური შეფასება ფარმაკოლოგიური საშუალებების ან ფარმაკოთერაპიული სქემების, განახორციელოს კლინიკურ კონტექსტში მოსახლეობის მხარდასაჭერად, განსაკუთრებით, პანდემიების, ეთნიკური კონფლიქტების და სტიქიური უბედურებების დროს, შეიმუშაოს სააფთიაქო ნარკომანიისა და ტოქსიკომანიის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებები, დამოუკიდებლად შეძლოს, საკუთარი ფარმაცევტული ბიზნესის დაწყება და განვითარება, ასევე რაც ყველაზე მნიშვნელოვანია დამოუკიდებლად განახორციელოს ორიგინალური სამეცნიერო კვლევა ფარმაციის მიმართულებით. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ მიზნები და ამოცანები შემუშავებული იყო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მიერ და თანხვედრაში იყო, როგორც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებთან და კანონმდებლობასთან (საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“). სტრუქტურულად პროგრამა წარმოდგენილი იყო 4 სემესტრით. დაწესებულების წარმომადგენელმა, ისაუბრა ასევე რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან გაიჟღერა, რომ სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი უნდა იყოს გაცილებით მრავალფეროვანი და თანამედროვე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა მხოლოდ 2 სამაგისტრო ნაშრომის დაცვა, რომლის წარდგენა ექსპერტების ვიზიტისას ვერ მოახერხა ინსტიტუციამ, რადგან მათ აქტი დადეს ივნისში, ხოლო სამაგისტრო ნაშრომების დაცვა განხორციელდა ივლისში. 2 სამაგისტრო ნაშრომიდან, ერთი შეეხებოდა სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატის „ნორმონის“ ფარმაკო თერაპიული ეფექტის შეფასებას ინკურაბელურ პაციენტებში, ანუ პაციენტებში, რომლის მიმართაც აქტიური სამედიცინო ჩარევის განხორციელება იყო პრაქტიკულად შეუძლებელი და ონკოლოგების გადაწყვეტილებით გადაყვანილი იქნა სიმპტომურ მკურნალობაზე. ხოლო მეორე სამაგისტრო ნაშრომი შეეხებოდა საუკეთესო პრაქტიკას პანდემიის პირობებში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პირველ სამაგისტრო ნაშრომთან მიმართებაში გამოყენებულ იქნა კვლევის თანამედროვე მეთოდები ეს არის პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფია რადიო აქტიური იზოტოპით, ფტორ-ბენზოქსიდ-გლუკოზის გამოყენებით, რომელთა მნიშვნელობით განისაზღვრა კლინიკური მანიფესტაციის ხარისხი და გარდა ამისა განხორციელდა იმუნურ-ჰისტო ქიმიური კვლევა. დაწესებულების წარმომადგენელმა 1.2 ქვესტანდარტში გაწერილ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ ინსტიტუციის პოზიცია იყო ის, რომ 5 ქვემიმართულებიდან ირჩევდა სამაგისტრო ნაშრომს მაგისტრანტი და ერთ-ერთი ქვემიმართულებით, ფარმაკოლოგიაში სავალდებულო იყო კვლევის შედეგების გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში, ხოლო ამ რეცენზირებადი ჟურნალის ქვეშ ინსტიტუციის წარმომადგენლები გულისხმობდნენ „Georgian Med News.“ ამ ცვლილებით გავლენა ხდებოდა ორ პროცესზე, პირველი პროცესი ეს იყო რეცენზირების პროცესი და მთლიან მოიაზრებოდა რეცენზირების საკითხი დღის წესრიგიდან, რადგან თუ რეცენზენტმა შეაფასა სუბიექტურად ნაშრომი ამას არ

გააკეთებდა „Georgian Med News“-ის რედაქცია და შესაბამისად ეს პრობლემა დღის წესრიგიდან იხსნებოდა. ხოლო შემდგომ, თუ სურვილს გამოთქვამს სტუდენტი სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე და აირჩევს იგივე მიმართულებას და იმავე თემას, ამ შემთხვევაში მას უკვე ექნება ერთი პუბლიკაცია გამოცემული. კვლევის თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ვერ განახორციელდა პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფია, პაციენტი გადაყვანილი იქნა თურქეთის კლინიკაში, სადაც განხორციელდა ეს კვლევა.

უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნატო ალავიძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუცია რეკომენდაციას „გასაძლიერებელია პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას კვლევითი ნაწილისა და ავტორისეული ორიგინალური ხედვის წარმოჩენაზე მეტი ყურადღების მიქცევა.“ ინსტიტუციის პოზიცია ემთხვეოდა ექსპერტების მოსაზრებებს. მან დამატებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დებულება შეიცვალა და აღნიშნული რეკომენდაციები ჩადებული იყო მასში. მან ასევე განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ყველა რეკომენდაციას იზიარებდა ინსტიტუცია.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, მიხეილ სამსონიამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა საგნების „სამეცნიერო წერის საფუძვლებსა“ და „აკადემიური სწავლების უნარ-ჩვევების“ გადაკვეთას აღნიშნა, რომ ერთ სასწავლო კურსს სავალდებულო სტატუსი ჰქონდა, ხოლო მეორეს არჩევითი. ასევე განსხვავებული იყო მიზანი, ამოცანები, შეფასების სისტემა, კრედიტების მოცულობა, ლიტერატურა და ის, რომ ერთიდაიგივე საკითხი განიხილებოდა სხვადასხვა ჭრილში არ იყოხარვეზი. მაგალითად, ფარმაკოლოგიაში, როდესაც განიხილება პრიონული დაავადებები, პრიონულ დაავდებებს ნაწილობრივ ეხება ფარამცევტული ტექნოლოგიების ლექტორიც, რადგან მან უნდა აუხსნას სტუდენტს, რატომ არის სახიფათო თავის ტვინისგან მიღებული პრეპარატების ფარმაცევტულ ქსელში გაშვება, რადგან არსებობს პრიონული პროტეინით დაინფიცირების მაღალი ალბათობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა უცხო ენასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში არ იყო გათვალისწინებული წინაპირობად ინგლისური ენა, თუმცაიყოერთი უცხო ენის სახით დამატებულიმ მაკა კაჭარავამ მიმართა ინსტიტუციას თურომელ უცხო ენაზე იყო საუბარი? თუკი სხვადასხვა უცხო ენაზე იყოსაუბარი და არა ინგლისურ ენაზე, მაშინ არჩევით საგნებში, რომლებიც ინგლისურად იყო შეთავაზებული, რამდენად იყო შესაძლებელი სწავლის შედეგების მიღწევა. ასევე პირველ და მეორე ქვესტანდარტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომ გასაძლიერებელია პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი, განსაკუთრებით ნაშრომის შესრულების ნაწილში. ხომ არ არის ეს საგნები ინტეგრირებული კვლევის მეთოდების ნაწილში და ამით ფარავს ამ საგანს.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ აღნიშნა, რომ გაუგებარი იყო აღწერა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის აუცილებელია, რომ მაგისტრანტმა გამოცეს პუბლიკაცია. თუნდაც „Georgian Med News“, რომლის რეცენზირების პროცესი განსხვავებულია. თუ ერთი სემესტრი ეძლევა მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის, როგორ ახერხებს ტექნიკურად, განახორციელოს კვლევა, დაწეროს ანალიზი, დასკვნები და მოახერხოს დაცვის მომენტამდე პუბლიკაციის დაბეჭდვა. ასევე მნიშვნელოვანია ექსპერტების მოსაზრება, შინარსობრივად არის ერთ სემესტრში სამაგისტრო კვლევა ისეთი მოცულობის და სიახლის მატარებელი, რომ

დამოუკიდებლად სტატიის სახით შეიკრას, თუ რამდნიმე მაგისტრანმა ერთი პუბლიკაცია უნდა გამოუშვას.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ გადახედა წარმოდგენილ ოთხ ნაშრომს. სამაგისტრო ნაშრომი „ბურბუშელას (ბაბუაწვერას) გამოყენება მედიცინაში და ანალიზის მეთოდები“ საბჭოს წევრის მოსაზრებით ეს არის ფარმაციის მიმართულების კვლევა, აქტიური ნაერთების გამოყოფა და შესწავლა. თუმცა მნიშვნელოვანია ინსტიტუციამ განმარტოს, დანარჩენი ორი ნაშრომი, რომელიც სიმსივნესთან დაკავშირებულ პრობლემებს ეძღვნება, სად გადის ზღვარი მედიცინასა და ფარმაციას შორის. რადგან ფარმაცევტის როლი არ არის მედიკამენტის კლინიკური გამოცდა, ხომ არ არის ეს ზედმეტი მოთხოვნა ფარმაცევტისთვის. ასევე, აივ ინფექციასთან დაკავშირებული სამაგისტრო ნაშრომი, რომელზეც ავტორიც ამბობს, რომ მიმოხილვის ტიპის კვლევაა, მაგრამ მიმოხილვითი მასალისათვის გამოყენებული 16 ლიტერატურა რამდენად არის საკმარისი.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, თუ სამაგისტრო ნაშრომები არ უნახავს ექსპერტთა ჯგუფს, რომელიც შესრულებულია პირობითი აკრედიტაციის პირობებში, ეს დასკვნები საიდან გამომდინარეობდა, თუნდაც კველვის მეთოდებთან და მიდგომებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი არ იყო წარმოდგენილი. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ რეგულირებადი სფეროა და ამ ინფორმაციის მიღება საკმაოდ მარტივი იყო. ასევე ინსტიტუციას წარმოდგენილი ჰქონდა, რომ კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან. თუმცა თუ დავუშვებთ, რომ აფთიაქების რიცხვი თვლადია, რაღაც ეტაპზე აღარ გაიხსნება აფთიაქები და ასეთ შემთხვევაში სად უნდა იმუშაონ კურსდამთავრებულებმა. გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა ინსტიტუციას გაეკეთებინა შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზი, რომელიც განმარტავდა როგორი მდგომარეობაა ახლა და როგორი იქნება მომავალში დასაქმების კუთხით. ასევე, წარმოდგენილია სტანდარტული ბიუჯეტი, სადაც გაწერილია, რომ თუ პროგრამაზე იქნება 10 სტუდენტი პროგრამა იქნება მდგრადი, გიორგი ღაღანიძემ მიმართა ინსტიტუციას 10 სტუდენტზე ნაკლები რაოდენობის შემთხვევაში რა შედეგი დადგებოდა პროგრამის მდგრადობის მხრივ, როგორ იქნება უზრუნველყოფილი პროგრამის მდგარდობა, სად არის ეს გაწერილი და რა დოკუმენტები არსებობს აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. ასევე საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებულ ლიტერატურაში ერთ შემთვევაში არის 17 ლიტერატურა გამოყენებული, ხოლო მეორე შემთხვევაში 77 ლიტერატურა, ასევე არის 29 და 31. როგორია დაწესებულების პოზიცია ამასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია ფანცულაიამ უპასუხა შეკითხვებს და განმარტა, რომ უცხო ენის მიმართულება გააძლიერა ინსტიტუციამ, რადგან ეს იყო რეკომენდაციაში მოცემული, მაგრამ ინტერვიუირებისას პროგრამის ხელმძღვანელის მიერ იყო აღნიშნული, რომ გერმანულ ენოვან პროფესორებთან აქვთ კონტაქტი, ტარდება ლექციები და ამ შემთხვევაში გერმანული ენის გაძლიერებაზეც არის საუბარი. პროგრამის წინაპირობად არ არის უცხო ენის მოთხოვნა. ხოლო ინგლისურ ენოვან სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, ესენია არჩევითი საგნები და აირჩევს ის ვისაც ეცოდინება ინგლისური ენა. სავადლებულო საგნები ვერ იქნება ინგლისურ ენაზე, თუკი შესაბამისი დონე ინგლისურის არ გააჩნიათ. რაც შეეხება კვლევით ნაწილს ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ ნახეს სამაგისტრო ნაშრომები, არ უნახავთ ის სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც 2020 წლის ივნისის შემდეგ დაიცვეს, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა ნახა, ის რაც 2020 წლის ივნისის თვემდე იყო დაცული. ხოლო თემატიკის თვალსაზრისით, წინა რეკომენდაციაშიც აისახა, რომ ძირითადად ანტისიმსივნური მიმართლებებია და წმინდად ქიმიური ან ფარმაციული მიმართულები არ იყო. თუმცა, ექსპერტის პოზიციით ეს თემის

თავისუფლებაა და სამეცნიერო კვლევის თავისუფლებაა. ფარმაცია მხოლოდ ქიმიური მიმართულებით ვერ შეიზღუდება, თუმცა რეალურად ექსპერტი აღნიშნავს, რომ ეთანხმება საბჭოს წევრს თემების მედიცინასთან გადაკვეთის შესახებ. რაც განპირობებულია იმით, რომ მედიცინის ფაკულტეტზე არის ბევრი სხვა სამეცნიერო კვლევითი მეთოდების გამოყენების ბაზა და ერთდროულად ხორციელდება იმ ფაკულტეტის ქვეშ. სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, სტუდნეტები არიან ფარმაციის ბაკალავრები, ისინი თავიდნვე არიან ჩართულები გარკვეულ თემებში და ექსპერტის მოსაზრებით მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში არ მუშაობენ, რადგან რთული იქნებოდა ერთ სემესტრში, სტატიის გამოქვეყნება. დასაწყისისითვის შემოღებულია მხოლოდ ორი პროგრამისთვის „ფარმაკოლოგია“ და „კლინიკური ფარმაკოლოგია“, ხოლო სხვა მიმართლებებში ეტაპობრივად იქნება შემოღებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ როგორც ექპსერტებმა გაიგეს ამ თემებში უფრო მეტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და უფრო მაღალი სტანდარტია, აქედან გამომდინარე ინსტიტუციამ უფრო მეტი მოთხოვნა გააკეთა. ძირითადად ამ მიმართულებით ჰყავს მაგისტრანტები და ამიტომ ეტაპობრივად, თუკი იგივე ზღვარს დააწესებს ყველა ერთნაირ პირობებში იქნება.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ბარათაშვილმა განმარტა, რომ დამსაქმებლის სტატუსით იყო წარმოდგენილი ექსპერტთა ჯგუფში. მან აღნიშნა, რომ დარგი არის მზარდი და მოთხოვნა რეგიონებში დაახლოებით შემდეგი მინიმუმ ხუთი წელი იქნება მზარდი. ეს იმდენად შესწავლილი ბაზარია, რომ თითქმის ვერ აკმაყოფილებენ კადრებს და კერძო კომპანიებში ხშირად არის შემთხვეევბი, რომ თბილისიდან ითხოვენ კადრებს, რათა რეგიონებში დაკმაყოფილდეს კადრების მოთხოვნა. მაგალითად პანდემიის პირობებში ეს გამოიკვეთა სვანეთში, ზუგდიდში, სადაც ვერ დაკმაყოფილდა ბაზარი ადგილობრივი კადრებით. რეგიონებში ეს ყოველთვის მოთხოვნადია და მისასალმებელია, რაც შეიძლება მეტი კადრის მომზადება. ამით არის გამოწვეული სწორედ ის, რომ 100% დასაქმება აქვთ კურსდამთავრებულებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატო ალავიძემ განმარტა, თუ სად გადის ზღვარი ფარმაციასა და მედიცინას შორის. განახლებულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში შემოვიდა სპეციალობა კლინიკური ფარმაცია, რომელიც დიდი ხანია არსებობს ევროპულ განვითარებულ ქვეყნებში. კვალიფიკაციათა ჩარჩოში შემოსვლა, გამოიწვევს ამ დარგის განვითარებას. მოთხოვნა არსებობს სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან, რადგან ევროპული ფარმაცევტული ფირმები ითხოვენ კლინიკური კვლევების განხორციელებაში კლინიკური ფარმაცევტის ჩართვას, რაც გაზრდის შრომის ბაზარს, სწორედ ამიტომ არის დიდი მოთხოვნაა სამაგისტრო საფეხურზე ამ მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მიხეილ სამსონიამ დამატებით აღნიშნა, რომ ფარმაცის კურსდამთავრებულებს ინტენსიური კონტაქტი უწევთ ერთკომპონენტიან და მრავალკომპონენტიან მედიკამენტებთან. ბოლო 20 წლის განმავლობაში იმდენად გაძლიერდა ახალი ნაკადი მედიკამენტების, რომ დიდ ბრიტანეთში ქვე მიმართულებებად გამოიყო ფარმაცევტი ონკოლოგიის, ფარმაცევტი იმუნლოგიის და ფარმაცევტ ოფთალმოლოგიის ინსტიტუტები. თანდათანობით მიმდინარეობს მომზადება ქვე მიმართულებების, შესაბამისად სად გადის ზღვარი რთული სათქმელია, რადგან იმდენად ინტენსიურია ეს ეტაპი, სავარაუდო 10 წელიწადში დალაგდება ეს სისტემა ევროკავშირის ქვეყნებში.

დაწესებეულების წარამომადგენელმა, ნატო ალავიძემ უცხო ენასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დარგობრივი უცხო ენა არის ყველა მიმართულებით (რუსული, ინგლისური, გერმანული). ხოლო, რაც შეეხება შეთავაზება არჩევითი კურსების ხდება მხოლოდ ინგლისურ ენაზე, ვინაიდან პროგრამაში ჩართულია გენეტიკოსი, იენის უნივერსიტეტის პროფესორი რიტა გელინ ნიხტი, რომელიც ინგლისურად მეტყველებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მიხეილ სამსონიამ დამატებით აღნიშნა, რომ მომავალში იგეგმება გერმანულ, რუსულ და ფრანგულ ენაზე სასწავლო კურსების შემოღება. მან ასევე აღნიშნა, რომ თავად ასწავლიდა პეტერბურგის პარმაცევტულ აკადემიაში. სტუდენტი არჩევით საგნებს ირჩევს ან ქართულ ან ინგლისურ ენაზე, ნაწილობრივ შეზღუდულები არიან, თუმცა აღნიშნულ პრობლემას 2-3 წლის განმვალობაში გადაჭირს ინსტიტუცია, რადგან გააჩნია ამის პოტენციალი და რესურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატო ალავიძემ განაცხადა, რომ არჩევითი კურსი პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას არ უზრუნველყოფს, მხოლოდ ხელს უწყობს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა კორძაძემ ისაუბრა პროგრამის ფინანსურ მდგრადობაზე და აღნიშნა, რომ განსაკუთრებით იმ პროგრამებზე, რომელიც ხორციელდება მედიცინის ფაკულტეტეზე, ფინანსურ მდგარდობასთან დაკავშირებით პრობლემა არ არის, რადგან მედიცინის ფაკულტეტს საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსი გააჩნია და იმ შემთხვევაში თუ პროგრამა 10 სტუდენტზე ნაკლებს მიიღებს, პროგრამა მაინც იქნება უზრუნველყოფილი ფინანსურად.

შრომის ბაზართან დაკავშირებით ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენელმა, მიხეილ სამსონიამ და აღნიშნა, რომ ძირითადად მონოპოლიები აკონტროლებენ არსებულ რეალობას საქართველოში. ესენია: ავერსი, PSP, გეფა. ის, რომ დასაქმების კუთხით არის დიდი არჩევანი, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. აღნიშნულ პრობლემაზე, ნაწილობრივ გავლენა მოახდინა იმან, რომ არარეგულირებადი გახდა ფარმაცია. ადრე იყო რეგულირებადი, თუმცა ახლა ამოიღეს და შესაბამისად უარყოფითად აისახა პროცესებზე. პროგრამის კურსდამთავრებულების მოთხოვნა ძირითადად არის დასავლეთ საქართველოში და ერთადერთი სადაც მათ შეუძლიათ დასაქმდნენ არის სააფთიაქო ქსელი და დამატებით სამედიცინო წარმომადგენლებად. კურსდამთავრებულთა ნაწილი მუშაობს აღმოსავლეთ საქართველოში, „ავერსი რაციონალის“ ფარმაცევტულ დაწესებულებაში და საკმაოდ წარმატებულები არიან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გათვლას აკეთებენ ევროკავშირის ქვეყნებზე, რადგან შრომის ბაზარზე დიდი მოთხოვნაა, მაგალითად გერმანიის შრომის ბაზარზე და ინსტიტუცია შეეცდება, რომ უახლოეს მომავალში სასწავლო კურსები, ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინები, შემოტანილ იქნეს, როგორც ინგლისურ, ასევე გერმანულ ენაზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მიხეილ ბიჭიამ ისაუბრა თუ რამდენად არის შესაძლებელი მოესწროს ერთ სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და ამავდროულად სტატიის გამოქვეყნება რეცენზირებად ჟურნალში. კვლევა გულისხმობს იმას, რომ სემესტრის ფარგლებში არ ხდება სრული შედეგის მიღწევა, ვინაიდან მანამდეც შეიძლება იმუშაოს მაგისტრანტმა მის ხელმძღვანელთან. ეს არ ხდება მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ როგორც გასაუბრებისას აღინიშნა მანამდე, ვიდრე სემესტრი დაიწყება მაგისტრანს აქვს კომუნიკაცია ხელმძღვანელთან, ხდება გარკვეული პოზიციების შეჯერება და როდესაც დაიწყება სემესტრი, მაგისტრანტს უკვე გარკვეული შედეგებისკენ მიმავალი გზა ნაჩვენები ექნება. რაც იმას გულისხმობს, რომ სემესტრის დაწყების ეტაპზე შეუძლია გარკვეული კვლევის შედეგები აჩვენოს და ვიდრე სამაგისტრო ნაშრომი იქნება წარდგენილი მოესწროს ერთი სატესტო სტატიის გამოქვეყნება, რაც ფიზიკურად მოსწრებადია. კვლევის ეტაპები გულისხმობს, სხვადასხვა დროს კორექტირებას, დაზუსტებას, შევსებას და ბუნებრივია როდესაც გამოქვეყნდება, მაგის შემდგომაც არ არის მაგისტრანტი შეზღუდული, რომ შემდეგ შეავსოს, პირიქით ეს ეხმარება მას იმაში, რომ სამაგისტრო ნაშრომის წარდგენამდე გარკვეული ეტაპები კიდევ უფრო მეტად დახვეწოს. ასევე, მაგისტრანტები არ არიან შეზღუდულები დამოუკიდებლად გამოაქვეყნებენ სტატიას თუ თანავტორობით, თუმცა

გარკვეულ შემთვევებში ლექტორთა მხრიდან იყო გამოთქმული მოსაზრება, რომ შესაძლებელია ლექტორთან ერთად თანაავტორობით იყოს გამოცემული სტატია, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მაგისტრატურის საფეხურისთვის. ასევე ბიბლიოგრაფიის რაოდენობასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს არის ინდივიდუალური.
ექსპერტთა ჯგუფის წევრები, რომლებიც იყვნენ დარგის სპეციალისტები დაადასტურეს ეს. კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება თემასთან დაკავშირებით ამომწურავი იყოს 17-18 ლიტერატურა, ზოგიერთ შემთხვევაში გაცილებით მეტი იყოს აუცილებელი და ზოგიერთ შემთხვევაში უფრო ნაკლები, ეს ბუნებრივია ეხება თემის სათაურს და სპეციფიკას, ისევე როგორც დარგისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს. აქედან გამომდინარე, ამ ნაწილში ექსპერტის მოზასრებით, ის რაც დასახული აქვს პროგრამას მიღწევადია სრულად. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ როდესაც განხორციელდა გასაუბრება ინსტიტუციასთან და ექსპერტებმა დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ხაგზასმა იყო იმაზე, რომ გერმანულ ორგანიზაციებთან მიმდინარეობს კომუნიკაცია, ინსტიტუციამ ექსპერტებს აჩვენა „გოეთეს“ კონკრეტული პუნქტი, სადაც წარმოდგენილია სათანადო ლიტერატურა და გეგმა იმისა, რომ ამ მიმართულებით კიდევ უფრო გააღრმავონ კავშირი, რაც ბუნებრივია დაეხმარება ამ მიმართულების გაძლიერებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:44

დასრულების დრო: 16:22

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებით მეორე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. გასაძლიერებელია პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას კვლევითი ნაწილისა და ავტორისეული ორიგინალური ხედვის წარმოჩენაზე მეტი ყურადღების მიქცევა;
2. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო გეგმაში ისწავლება ერთი 5 კრედიტიანი უცხო ენა და იგულისხმება სხვადასხვა უცხო ენა, რეკომენდირებულია, პროგრამის მიღების წინაპირობაში დაემატოს სამაგისტრო საფეხურისთვის რელევანტური ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება;
3. სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ტექნიკური და გარკვეული შინაარსობრივი ხარვეზების (მაგალითად: საგნების „სამეცნიერო წერის საფუძვლები“ და

„აკადემიური სწავლების უნარ-ჩვევები“ სილაბუსის შინაარსიდან რამდენიმე საკითხში გადაკვეთის გასწორება) აღმოფხვრა;
4. რეკომენდებულია სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში აქტივობების შემცირება, ისე რომ რეალისტური და სემესტრის განმავლობაში მიღწევადი იყოს;
5. პროგრამაში გაძლიერდეს კვლევის მეთოდების ამსახველი საკითხები შემდგომში სამაგისრო ნაშრომების ჯეროვნად შესრულების მიზნით;
6. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების მეტ ჩართულობას საერთაშორისო ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებში;
7. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში მრავალფეროვანი კვლევის მეთოდების გამოყენება და ხელმძღვანელთან მეტი ერთობლივი მუშაობა;

რჩევები:

8. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი, ანდა გამოკითხულ სუბიექტთა რაოდენობა;
9. სწავლის შედეგებში, ბლუმის ტაქსონომიის გათვალისწინებით, სათანადო ზმნებით უნდა გამოიყოს „ცოდნა-გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა ავტონომიურობა“;
10. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებიდან ამოსაღებია ჩანაწერი „სასწავლო კურსებში მიღებული ქულები“;
11. არჩევითი საგნების რაოდენობის უფრო მეტად გაზრდა;
12. სასურველია რეცენზენტის შერჩევის წესში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი: ნაცვლად „ხელმძღვანელი ირჩევს“ იყოს „ხელმძღვანელი წარადგენს“;
13. სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობა გაგრძელდეს;
14. სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე მუშაობა გაგრძელდეს უფრო ინტენსიურად;
15. პროგრამის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იქნება, აკადემიური პერსონალი უფრო აქტიურად იყოს ჩართული ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებში;
16. კარგი იქნება, გაგრძელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შეფასების ფორმებზე, მეთოდებსა და კრიტერიუმებზე ტრენინგები;
17. სასურველია, გაგრძელდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება მეტი თანამედროვე მეთოდების ათვისებისა და გამოყენების მიზნით;
18. სასურველია, გაფორმდეს მეტი მემორანდუმი რეგიონის მსგავსი პროფილის უნივერსიტეტებთან, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გამოყენების მიზნით;
19. ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის უფრო დეტალურად განსაზღვრა და სხვა ფინანსური წყაროების მოძიება-მოზიდვა;
20. საზოგადოებასთან, მათ შორის პოტენციურ სტუდენტებთან მეტი კომუნიკაცია პროგრამის მნიშვნელობის შესახებ;
21. სასურველია პროგრამულ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნეს განხორციელების რისკები შესაბამისის ფინანსური უზრუნველყოფით;
22. კარგი იქნება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების ინდექსის კვლევა, ასევე, მათი გამოკითხვების ინტენსივობის გაზრდა;
23. კვლევის ჩატარება ჩარიცხული სტუდენტების კლების მიზეზების დასადგენად და მათი აღმოფხვრის გზების მოძიება;
24. სასურველია შიდა კვლევების ანალიზი, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ გრანტების მოძიებისა და საერთაშორისო პროექტებში მათი ჩართულობის გააქტიურების მექანიზმების მოძიება-შემუშავების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფარმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფარმაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მინიჭა აკრედიტაცია 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი "გეოგრაფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის №54 გადაწყვეტილება , 2012 წლის 12 მარტი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	7
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოგრაფიის (ფიზიკური) მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის	-

	საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
15	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქ.№35/32, ქ.ბათუმი, კორპუსი 2, საფოსტო ინდექსი 6010, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

ანზორ ბერიძემ მეორე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

16:25 საათზე საბჭოს შემოუერთდა თამარ, ჩხეიძე.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი "გეოგრაფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნოდარ ფოფორაძე მიესალმა დასმწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანობაში უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურით, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით და მაღალი პროფესიონალური აკადემიური და მოწვეული პერსონალით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 2021 წლის 14-15 ივნისს ჰიბრიდული ფორმატით. 14 ივნისს ექსპერტთა ჯგუფის ორმა წევრმა დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები ადგილზე და შეხვდნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლობას. ხოლო 15 ივნისს, ონლაინ ფომატში გაგრძელდა შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო ნაშრომთა ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი “გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგ ანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. არჩევითი სასწავლო კურსი „დისტანციური მეთოდები რეგიონალურ გეოგრაფიაში და GIS პროგრამები“ გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი;
2. ზოგიერთი სასწავლო კურსის („პროფესიული პრაქტიკა“) სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში უახლესი ნაშრომების ასახვა;
3. რეკომენდირებულია, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება მოხდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად განსაზღვრული წესით.
4. ზოგიერთი სასწავლო კურსის („პროფესიული პრაქტიკა“, „ინგლისური ენა B2.1”, „ინგლისური ენა C1.1.”) სილაბუსით შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების დაკონკრეტება, ასევე აქტივობების შეცვლა-შემცირება ისე, რომ მათი განხორციელება რეალისტური და სემესტრის განმავლობაში მიღწევადი იყოს;
5. ანტიპლაგიატის პროგრამის (turnitin-ის) დოკუმენტის გამოყენების წესის დაზუსტება და ინფორმირებულობის გაზრდა;
6. რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსით სწავლება-სწავლის მეთოდთა გამრავალფეროვნებასა და ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის აუცილებელ აქტივობებზე (ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი და სხვ.) მეტი ყურადღების გამახვილება;
7. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის დამუშავების შინაარსობრივი და ტექნიკური მოთხოვნების დახვეწა, დეტალური აღწერა, აკადემიური წერის სტანდარტების მეტად გათვალისწინება;

8. შიდა ხარისხის მონიტორინგის უფრო ეფექტიანად წარმართვა, კერძოდ, შეფასებების ანალიზი, როგორც პროგრამის, ისე სასწავლო კურსთა სილაბუსების სრულყოფის მიზნით. ასევე საკვლევი ინსტრუმენტების (კითხვარების) დახვეწა;

მეშვიდე რეკომენდაციასთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომები მაღალა დონეზე იყო შესრულებული, თუმცა, გაფორმების მხრივ გარკვეული ხარვეზები იყო სახეზე.

ექსპერტის, მოსაზრებით პროგრამა იმსახურებდა აკრედიტაციას და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, რომ კურსდამთავრებულები აქტიურად იყვნენ ჩართულები და GIS პროგრამებს, სწორედ კურსდამთავრებულები წაიკიკთხავდნენ. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მისანიჭებელ კვალიფიკაციაში ფრჩხილებში ჩასმული (ფიზიკური) ფაქტობრივად ტექნიკური ხარვეზს წარმოადგენდა. პროგრამაზე მისანიჭებელი კვალიფიკაცია პირდაპირ უნდა იყოს ფორმულირებული, როგორც გეოგრაფიის მაგისტრი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ ხაზი გაუსვა, რომ უნივერსიტეტი სასაზღვრო ზონაში იყო და ბევრი კურსდამთავრებული დასაქმებული იყო, როგორც შესაბამის გარემოს ეროვნულ სააგენტოში, ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოში. მან დამატებით აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა მოთხოვნადი იყო. ასევე გამარტივებული და მოქნილი ელექტორნული სისტემა ჰქონდა ინსტიტუციას, რომელიც სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის მარტივად მოსახმარია.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულებისხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობის შემსრულებელმა, ირაკლი კორძაიამ აღნიშნა, რომროგორც კვალიფიკაციის ჩარჩოს ეროვნულ კლასიფიკატორში იყო მითითებული, სწორედ იქიდან იქნა გადმოტანილი მისანიჭებელი გვალიფიკაცია,

პროგრამის ხელმძღვანელმა, ხათუნა ჭიჭილეიშვილმა, ისაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მან პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა „არჩევითი სასწავლო კურსი „დისტანციური მეთოდები რეგიონალურ გეოგრაფიაში და GIS პროგრამები“ გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი.“ აღნიშნა, რომ რადგან გეოგრაფიის მიმართულებაზე არიან სხვადასხვა მიმართულების სტუდენტები, არის ისტორიის მიმართულება, ტურიზმიდა სხვა. შესაბამისად როდესაც სამაგისტრო პროგრამას გადიან სტუდენტები, ინსტიტუცია აძლევს შესაძლებლობას აირჩიონ სხვა საგნები. ამიტომ არჩევით ბლოკში იყო წარმოდგენილი GIS პროგრამები, თუმცა რადგან გაიწერა რეკომენდაცია, ინსტიტუცია იზიარებს აღნიშნულს და სასწავლო კურსი „დისტანციური მეთოდები რეგიონალურ გეოგრაფიაში და GIS პროგრამები“ გადატანილი იქნება ძირითად სასწავლო კურსებში.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით „ზოგიერთი სასწავლო კურსის („პროფესიული პრაქტიკა“) სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში უახლესი ნაშრომების ასახვა.“ ხათუნა ჭიჭილეიშვილმა, განმარტა, რომ გეოგრაფიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში სასწავლო კურსის პროფესიული პრაქტიკის სილაბუსის შედგენისას მოხდა ტექნიკური შეცდომა და ახალი ლიტერატურა ელიზბარ ელიზბარაშვილის „კლიმატოლოგია“, 2020 წლის გამოცემა, მითითებული იყო დამხმარე ლიტერატურაში, რომელიც გადატანილი იქნება ძირითად სავალდებულო ლიტერატურაში. ასევე, ამჟამად გამოცემული ახალი სახელმძღვანელო „მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია“

მიქაუტაძე დალი და დავითულიანი ციცინოს ავტორობით, 2021 წლის გამოცემა, შეტანილი იქნება სავალდებულო ლიტერატურაში.

მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით „ანტიპლაგიატის პროგრამის (turnitin-ის) დოკუმენტის გამოყენების წესის დაზუსტება და ინფორმირებულობის გაზრდა;“ დაწესებულების წარმომადგენელმა ხათუნა ჭიჭილეიშვილმა, აღნიშნა, რომ თავად არის ასევე ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი გეოგრაფიის დეპარტამენტში და ხარისხის სამსახური ხელმძღვანელთან ერთად სისტემატიურად მიმდინარეობს ლექტორ-მასწავლებებლების დატრენინგება, ხოლო როდესაც ხდება სამაგისტრო, საბაკლავრო ან სასწავლო კურსით გათვალისწინებული რეფერატული ნაშრომების ატვირთვა, შემდგომ იმართებალექტორ-მასწავლებლებთან შეხვედრა და ინფორმირებულობის გაზრდა ამ მიმართულებით.

მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით „რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსით სწავლება-სწავლის მეთოდთა გამრავალფეროვნებასა და ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის აუცილებელ აქტივობებზე (ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი და სხვ.) მეტი ყურადღების გამახვილება;“ დაწესებულების წარმომადგენელმა, ხათუნა ჭიჭილეიშვილმა, განმარტა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებულია 10 სწავლების მეთოდი, მათშორის ერთ-ერთია დაკვირვება ანალიზის მეთოდი, დაკვირვება, აღწერა შედარების მეთოდი. შეფასება მოიაზრებს ანალიზს, რადგან შეფასება ანალიზის გარეშე შეუძლებელია, შესაბამისად ანალიზის მეთოდი არ არის ცალკე გამოყოფილი. თუმცა, რადგან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიწერა რეკომენდაციები, ინსტიტუცია იზიარებს მას და გარკვეულ სასწავლო კურსებში, მაგალითად როგორიც არის „შავი ზღვის სანაპირო ზონის მორფოდინამიკა“, „ლანდშაფტური მრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები“, „პროფესიული პრაქტიკა“, „კლიმატი და გლობალური პროცესები“ დაემატება ანალიზის, სინთეზის, შემთხვევის ანალიზის და სხვა მეთოდები.

რაც შეეხება ბოლო რეკომენდაციას „სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის დამუშავების შინაარსობრივი და ტექნიკური მოთხოვნების დახვეწა, დეტალური აღწერა, აკადემიური წერის სტანდარტების მეტად გათვალისწინება;“ დაწესებულების წარმომადგენელმა, ხათუნა ჭიჭილეიშვილმა, რეკომენდაციის პასუხად განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი ეფუძნება ბსუ-ში მიღებულ დადგენილებას საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დამატებით აღნიშნა, რომ როგორც ექსპერტმა აღნიშნა სამაგისტრო ნაშრომები არის კარგად შესრულებული, ხოლო თუკი რაიმე სახის ტექნიკური ხერვეზია ამასთან დაკავშირებით, გათვალისწინებული იქნება ექსპერტთა რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობასთან დაკავშირებით, პირველი სტანდარტი შეფასებულია, როგორც სრულ შესაბამისობაში, ამ შემთვევაში რის საფუძველზე მოხდა პირველი შეფასების რეკომენდაციის სახით ჩამოყალიბება და არა რჩევის სახით. არჩევითი სასწავლო კურსის „დისტანციური მეთოდები რეგიონალურ გეოგრაფიაში და GIS პროგრამები“ სავალდებულო სასწავლო კურსებში გადატანასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, თუკი ინსტიტუცია თვლის, რომ სწავლის შედეგები ისედაც მიღწევადია, როგორია მათი მოსაზრება აღნიშნულთან შეფასებასთან დაკავშირებით, რეკომენდაციის სახითუნდა იყოს თუ რჩევის სახით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ კითხვით მიმართა ინსტიტუციას და აღნიშნა, რომ აღნიშნული უნივერსიტეტის წინა პროგრამებში, რომელიც განიხილა საბჭომ ბევრ შემთხვევაში გაიცა რეკომენდაცია, რომ უფრო მაღალი დონის ინგლისური ენით ჩაირიცხოს სტუდნეტი, თუმცა ჩანაწერში მაინც არის გაწერილი, რომ **B1** დონით არის შესაძლებელი სტუდენტების ჩარიცხვა, საბჭოს წევრი დაინტერესედა თუ როგორ გეგმავდა ინსტიტუცია აღნიშნულის შეცვლას. მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი ცხრილი, რომელიც პროგრამაშია მე-13 გვერდზე არის სასწავლო კომპონენეტების ბმა სწავლის შედეეგებთან მიმართებაში. საბჭოს წევრის განმარტებით, რატომღაც სამაგისტრო ნაშრომის გასწვრივ მე-2, მე-3, მე-5 შედეგთან გაღრმავების სტატუსი აქვს ნაშრომს, ხოლო მე-7 შედეგთან აქვს განმტკიცების სტატუსი, მთლიანად სამაგისტრო ნაშრომს კი გაღრმავების სტატუსი არ უნდა ჰქონდეს. პირობითად ყველა ინსტიტუცია მაგას მესამე დონის საგანს ეძახის და იგივე პრაქტიკასთან მიმართებაში, როგორია დაწესებულების პოზიცია.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა თუ, რამდენად რელევანტური იყო 12 ადამიანის გამოკითხვა და ვინ არიან ისინი, რათა ნათელი იყოს რამდენად კარგად არის შესწავლილი შრომის ბაზრის მოთხოვნები. ასევე, ბიუჯეტთან დაკავშირებით, წარმოდგენილი იყო სტანდარტული ბიუჯეტი, აუცილებლად უნდა იყოს ნათელი პროგრამის მდგარდობა. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ კლასიფიკატორში 0532.1.2, წერია გეოგრაფია (ფიზიკური) და რატომ უნდა ამოიღოს ინსტიტუციამ (ფიზიკური) რა იყო ამ რეკომენდაციის არსი.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარიძემ კითხვით მიმართა ინსტიტუციას, რომ ჩანაწერში არის 40% თანხვედრამდე დაშვება. რამდენ პროცენტიანი თანხვედრებია? საბჭოს წევრის მოსაზრებით პლაგიატი ალბათ ტექნიკური ხარვეზია და 38% პლაგიატს არ უშვებს ინსტიტუცია და საუბარია თანხვედრაზე. ასევე ექსპერტების დასკვნაში გვერდებზე იყო მითითება, რომ არ იყო წყარო მითითებული, თუმცა თანხვედრაა, ამასთან დაკავშირებით როგორია ინსტიტუციის პოზიცია?

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ დეტალურად გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტაციას, თუმცა ვერ მოიპოვა ინფორმაცია ინტერნაციონალიზაციასა და ინსტიტუციის საერთაშორისო გამოცდილებასთან დაკავშირებით. ასევე, მხოლოდ ერთი ნაშრომია წარმოდგენილი სრული სახით. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ პირველ რიგში მომწდება ბიბლიოგრაფია, თუ რა დონეზე არის სტუდენტის ნამუშევარი და აღმოაჩინა, რომ სრული უმრავლესობა გამოყენებული ლიტერატურის არის ქართულ ენოვანი და არის 4-5 წყარო რუსულ ენოვანი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დააკლდა ინტერნაციონალიზაციის თემა და უცხოენოვანი ლიტერატურა. ინსტიტუციას აქვს შესანიშნავი საბიბლიოთეკო ბაზები, რომლთან წვდომაც სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ. კონტროლდება თუ არა სტუდენტების მიერ საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ GIS-ის საგანთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულების და განსაკუთრებით დამსაქმებლების მოთხოვნა იყო, რომ მათთვის აუცილებელია ისეთი თანამშრომლის, სპეციალისტის მიღება, რომელსაც GIS-ის პროგრაა ეცოდინება გარკვეულ დონეზე. რაც შეეხება გეოგრაფიის სამაგისტრო ხარისხს, ექსპერტმა განმარტა, რომ გეოგრაფიის სამაგისტრო ხარისხი, როდესაც არის მითითებული იქ (ფიზიკური) არსად არ წერია. მან ხაზი გაუსვა, რომ ცენტრის წარმომადგენლის უშუალო მოთხოვნით იქნა ეს რეკომენდაცია, რეკომენდაციის სახით წარმოდგენილი. როდესაც, ხარისხის მინიჭებაზე არის საუბარი იქ წერია გეოგრაფიის მაგისტრი და ფრჩხილებში არ არის ჩასმული (ფიზიკური). სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად (მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი), კვალიფიაკციის ფორმირებისას დეტალური სფეროებში განთავსებულ სწავლის

სფეროებში ფრჩხილებში არსებული მითითებები/ ტერმინები არ აისახება კვალიფიკაციის სახელწოდებაში. ამიტომ, საგანმანათლებლო პროგრამა კვალიფიკაციის ფორმირება უნდა მოხდეს შემდეგი სახით - „გეოგრაფიის მაგისტრი“.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი კორძაიამ ინგლისური ენის მიღებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე რეგულაციები არის საუნივერსიტეტო რეგულაციით განსაზღვრული და მიმდინარეობს აღნიშნული დოკუმენტის გადახალისება და სხვა პროგრამებზეც მოცემული რეკომენდაციებიდან გამომდინარე ეს ცვლილებები უნდა განხორციელდეს სწორედ ამ დოკუმენტში. პროგრამების შემუშავება დაიწყო უფრო ადრე, შესაბამისად აღნიშნულ პროგრამაშიც ვერ მოხდა ინგლისური ენის უფრო მაღალი დონის დაზუსტება, თუმცა ინსტიტუცია გამოთქვამს მზაობას და ადასტურებს, რომ მუშაობს აღნიშნულ ცვლილებებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე ისაუბრა შრომის ბაზრის ანალიზთან დაკავშირებულ შეკითხვაზე და აღნიშნა, რომ ძირითადად აქცენტი გაკეთებულია იმ დამსაქმებლებთან, რომლებთანაც უშუალოდ სტუდენტები არიან დასაქმებულები და როგორც ასეთი თავისუფალი სივრცე გამოკითხვებთან მიმართებაში სწორედ გამოკითხულმა 12-მა კომპანიამ მიიღო აქტიური მონაწილეობა და სწორედ მათი რეკომენდაციები იქნა გათვალისწინებული პროგრამის შემუშავების პროცესში.. ბიუჯეტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მუშაობენ ახალი ფორმის შემუშავებაზე, რომელიც იქნება ცენტრალიზებული, თუმცა გამიჯნული იქნება პროგრამას რა სერვისების შეთავაზება შეუძლია. რაც შეეხება ანტიპლაგის პროგრამას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არის ტექნიკური ხარვეზი. ექსპერტების მხრიდანაც იქნა გაცემული რეკომენდაცია, რომ დაიხვეწოს აღნიშნული დოკუმენტი. ასევე მსგავსების პროცენტულ მაჩვენებელთან დაკავშირებით, ექვემდებარება პირველ გადამუშავებას წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი და ბუნებრივია შემდგომი მსგავსების მაჩვენებელი უნდა იქნეს ნულამდე დაყვანილი ან ციტირების წესი უნდა იყოს გამოყენებული,ბიბლიოგრაფიაში იყოს ასახული გამოყენებული მასალები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხათუნა ჭიჭილეიშვილმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაერთ-ერთი გასაუმჯობესებელი მხარეს წარმოადგენდა, რადგან ლექტორები სისტემატიურად არიან ჩართულები ინტერნაციონალიზაციის პროცესში., თუმცა,რადგან სტუდენტებს აქვთ ენობრივი ბარიერი, შესაბამისად ნაკლებად ხდება მათი ჩართვა გაცვლით პროგრამაში. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ წელს იყო რამდენიმე სტუდენტი წასული, თუმცა ეს იყო პირველი შემთხვევა და ეტაპობრივად ენობრივი ბარიერი უფრო ადვილად დასაძლევი ხდება და მომდევნო წლებში აღარ იქნება შესაბამისი პრობლემები. ბიბლიოგრაფიასთან დაკავშირებით, რადგან ინგლისური ენის დაბალი დონეა, შესაბამისად უჭირთ უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენება სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, ძირითად ჩართულები არიან ლექტორები, რომლებიც ეხმარებიან და აწვდიან ინფორმაციას. სტუდენტები ძირითადად იყენებენ ქართულ და რუსულ ენოვან ლიტერატურას, ხოლო როდესაც საჭიროა უცხოენოვანი ერთვებიან ხელმძღვანელები. ეს არ შეეხება ყველა სტუდენტს, არაინ ასევე გამონაკლისები, რომლებმაც კარგად იციან უცხო ენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი კორძაიამ ისაუბრა ციფრებზე, სადაც წერია გაღრმავებასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, ექსპერტებთანაც აღნიშნა, რომ უნდა გავიდეს გაღმავებაზე და ტექნიკურად არასწორად იყო ციფრები მითითებული და ეს ნაწილიც გასწორდება. ხოლო რაც შეეხება ბაზებს, ბაზები აქამდე იყო ერთიანი პროგრამის და გრანტის ფარგლებში დაფინასნებული, შემდგომ 2020 წელს შეიქმნა დაფინანსების მოპოვების პრობლემა და უკვე ბიუჯეტიდან გამოიყო დაფინასებები, რომლითაც დაიდო გარე ბაზები ხელახლა. არსებობს მოლოდინი, რომ 2021 წლიდან ბაზებში არსებული მასალების გამოყენება აისახება სამაგისტრო ნაშრომებში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს: თუ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადია, ამ სასწავლო კურსის სავალდებული საგნებში გადატანის გარეშეც, , რადგან პროგრამა ითვალისწინებს ყველა იმ სასწავლო კურსს, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას, მაშინ რამდენად არის ეს რეკომენდაცია. ხოლო თუკი იმ პოზიციაზე დავდგებით, რომ შრომის ბაზარზე არსებობს ამის საჭიროება და ეს კურსდამთავრებულებმა დააფიქსირეს, ანუ კონკრეტული კომპეტენციების საჭიროება არის, ამ შემთხვევაშიიქნებ პროგრამის მიზნები ორიენტირებული უნდა იყოს შრომის ბაზარზე და უნდა ითვალისწინებდეს იმ კომპეტენციებს, რაც არის მოთხოვნა და არ არის ასახული ან უნდა გადაიხედოს და მოდიფიცირდეს სწავლის შედეგები. რამდენად არის ეს რეკომენდაცია, ხომ არ არის რჩევა, რომელიც კარგია, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინოს, თუ რეკომენდაციაა, იმიტომ რომ პროგრამას აქვს ხარვეზი და უნდა გამოასწოროს ეს ხარვეზი. თუკი ჩაიათვლება, რომ ეს არის ხარვეზი, მხოლოდ სასწავლო კურსის ნაწილშია ხარვეზი თუ ებმის პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ განმარტა, რომ GIS-ის არსებობა პროგრამას უფრო მიმზიდველს და შედეგიანს გახდის. შესაძლებელია ეს რჩევის სახითაც ყოფილიყო წარმოდგენილი, მაგრამ განსაკუთრებით დამსაქმებლების მოთხოვნიდან გამომდინარე, ექსპერტის მოსაზრებით უმჯობესი იქნება პროგრამაში იყოს, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მიხეილ ბიჭიამ დამატებით აღნიშნა, რომ თავად არ არის დარგის სპეციალისტი, თუმცა ინტერვიურების ფარგლებში დამსაქმებლებმა გამოხატეს სურვილი ეს საგანი ყოფილიყო სავალდებულო სასწავლო კურსის სახით, რადგან ნაკლულობა ჩანდა ამ ნაწილში და ასევე უფრო მეტად უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, თუ GIS-ის პროგრამა იქნება წარმოდგენილი, როგორც რეკომენდაცია. აქედან გამომდინარე დარგის სპეციალისტებმა ამ კუთხით გამოხატეს პოზიცია და ექსპერტიც იზიარებს დარგის სპეციალისტების მოსაზრებას.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა სწავლის შედეგების გაზომვად მიზნებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტებს რჩევაში აქვთ აღნიშნული საკითხი გაწერილი. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ როდესაც გაეცნო ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ პროგრამას და სილაბუსებს სწავლის შედეგების ფორმულირება ნამდვილად არ იყო ისე ჩამოყალიბებული, რომ ადვილი ყოფილიყო მათი გაზომვადობა და დაკვირვება, შესაბამისად აღნიშნული რჩევა საბჭოს წევრისმოსაზრებით, უფრო მეტად არის რეკომენდაციის ხასიათის, რომ პროგრამა ამ მხრივ საჭიროებს დამატებით მუშაობას და გაუმჯობესებას. როგორია ამასთან დაკავშირებით ინსტიტუციის და ექსპერტების პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მიხეილ ბიჭიამ განმარტა, როგორც იურისტი ხედავს პრობლემას, რომ თუ GIS-ის პროგრამა იქნება სავალდებულო საგანი, ბუნებრივია ეს რეკომენდაციაა და ამას იზიარებს ექპერტი, მაგრამ კანონმდებლობის დონეზე არის ერთი ჩანაწერი, რომ ის კურსდამთავრებულები, რომლებიც მაგისტრები არიან რამდენად შეიძლება იყვნენ იმ მოთხოვნების შესაბამისი, რომელიც კანონით იყო გათვალისწინებული ან დოქტორი ან დოქტორანტი. ექსპერტის მოსაზრებით ფორმა არის შესარჩევი ამ ნაწილში, რომ თუ ისინი კურსდამთავრებულები არიან, როგორც მოწვეული ლექტორები ან აკადემიური პერსონალის ფარგლებში იყვნენ წარმოდგენილები, ისე რომ კანონის მოთხოვნებს უპასუხონ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ქორიძემ დააზუსტა, რომ ეს შეეხებოდა საკითხს, ვინ წარუწყვება შემდგომ ამ სასწავლო კურსს. ამასთან დაკავშირებით საკითხი გაიარა ინსტიტუციამ, მიიღო რეკომენდაციები და ჰყავს კადრები, რომლებსაც ამ მიმართულებით დაცული აქვთ სამეცნიერო ხარისხი და გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მიხეილ ბიჭიამ აღნიშნა, რომ ანტიპლაგიატთან დაკავშირებით იყო ხაზგასმა, რომ იყო ტექნიკური ხარვეზი. ტექნიკური ხარვეზების, გარდა შეიძლება გარკვეულ შინაარსობრივ კომპონენტებში პრობლემები და ექსპერტების მიდგომა იყო, ის რომ ამ მიმართულებით მაქსიმალურად დაეხვეწათ, თუნდაც 40% ზღვარი, ისევე როგორც მითითება იმაზე, რომ დაზუსტდეს ნაშრომის მოცემული კრიტერიუმები სპეციალიზებული კომისიის მიერ უშუალოდ დაცვის წინ. არის დეტალები, რომლის თაობაზე მაგისტრანტი უნდა ფლობდეს ინფორმაციას ვიდრე წარადგენს ნაშრომს. ისევე, როგორც სიტყვების რაოდენობა არის ბმაში პროცენტულობასთან, რომელიც ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმების დროს უნდა იყოს დაზუსტებული და აზრთა სხვადასხვაობა იყო ამ ნაწილში. ექსპერტის მოსაზრებით დოკუმენტი, რომელიც ეხება უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომის შედგენას ამ ნაწილშიც დაზუსტებას საჭიროებს, ერთიან მიდგომას რომლის თაობაზეც ინფორმირებული იქნებიან, როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ამავედროს მაგისტრანტებიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:03

დასრულების დრო: 17:23

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2. კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.4. კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით სტანდარტების შესაბამისობის შეფასება დარჩა უცვლელი.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვადი;
3. რეკომენდირებულია, პროგრამის მიღების წინაპირობაში დაემატოს სამაგისტრო საფეხურისთვის რელევანტური ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება;
4. რეკომენდირებულია, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება მოხდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად განსაზღვრული წესით (მუხლი 4, პუნქტი 6.);

5. არჩევითი სასწავლო კურსი „დისტანციური მეთოდები რეგიონალურ გეოგრაფიაში და GIS პროგრამები“ გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი;
6. ზოგიერთი სასწავლო კურსის („პროფესიული პრაქტიკა“) სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში უახლესი ნაშრომების ასახვა;
7. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის დამუშავების შინაარსობრივი და ტექნიკური მოთხოვნების დახვეწა, დეტალური აღწერა, აკადემიური წერის სტანდარტების მეტად გათვალისწინება;
8. ზოგიერთი სასწავლო კურსის („პროფესიული პრაქტიკა“, „ინგლისური ენა B2.1”, „ინგლისური ენა C1.1.”) სილაბუსით შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების დაკონკრეტება, ასევე აქტივობების შეცვლა-შემცირება ისე, რომ მათი განხორციელება რეალისტური და სემესტრის განმავლობაში მიღწევადი იყოს;
9. რეკომენდირებულია სამაგისტო ნაშრომისა და პრაქტიკის სასწავლო კურსების სტატუსის დაზუსტება;
10. ანტიპლაგიატის პროგრამის (turnitin-ის) დოკუმენტის გამოყენების წესის დაზუსტება და ინფორმირებულობის გაზრდა;
11. რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსით სწავლება-სწავლის მეთოდთა გამრავალფეროვნებასა და ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის აუცილებელ აქტივობებზე (ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი და სხვ.) მეტი ყურადღების გამახვილება;
12. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
13. შიდა ხარისხის მონიტორინგის უფრო ეფექტიანად წარმართვა, კერძოდ, შეფასებების ანალიზი, როგორც პროგრამის, ისე სასწავლო კურსთა სილაბუსების სრულყოფის მიზნით. ასევე საკვლევი ინსტრუმენტების (კითხვარების) დახვეწა;

რჩევები:
14. კარგი იქნება პროგრამის მიზნებში სამეცნიერო-კვლევითი უნარების გამომუშავებაზე აქცენტის გაკეთება;
15. კარგი იქნება, სწავლის შედეგებში, ბლუმის ტაქსონომიის გათვალისწინებით, სათანადო ზმნებით გამოიყოს „ცოდნა-გაცნობიერება“, „უნარები“ და „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობა“;
16. უფრო მეტი გამჭვირვალობისათვის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განისაზღვროს იმგვარად, როგორც ეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში არის გათვალისწინებული, კერძოდ, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფლობა და საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;
17. არჩევითი სასწავლო კურსების გამრავალფეროვნება;
18. სასწავლო კურსების სილაბუსებში არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება;
19. სასურველია, სილაბუსებში უფრო დეტალურად აისახოს პრაქტიკული მეცადინეობების თემატიკა, ხოლო სალექციო მეცადინეობებში უფრო ნათლად გაიწეროს თემის სათაური და მისი მოკლე სტრუქტურა;
20. სასწავლო კურსების სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურის გამრავალფეროვნება უახლესი ქართული და უცხოენოვანი წყაროებით;
21. სასურველია სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება;
22. კარგი იქნება, გაგრძელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული ტრენინგები შეფასების კრიტერიუმებსა და სწავლება-სწავლის მეთოდებზე;
23. სასურველია კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევაში მკაფიოდ გამოიყოს კითხვა/კითხვები, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელით კმაყოფილებისა და კონსულტაციების სისტემატიურობის შესახებ;

24. სასურველია, უნივერსიტეტი დაეხმაროს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ეროვნული და საერთაშორისო გრანტების მოძიებაში;
25. სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების ღონისძიებების ამოქმედება;
26. სასურველია ლაბორატორიული ბაზის განახლების დინამიკის შენარჩუნება და კვლევის უახლესი მეთოდოლოგიის გაძლიერება;
27. სასურველია, პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად და პროგრამის ფინანსური მდგრადობის სრულად უზრუნველსაყოფად, საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, დაკონკრეტდეს დაგეგმილი ძირითადი აქტივობები;
28. ხარისხის გარე შეფასების მექანიზმების დახვეწა და ამ ფარგლებში გამოთქმული რეკომენდაციების უფრო მეტად გათვალისწინება;
29. კარგი იქნება, გარე შეფასების ფორმაში იყოს ექსპერტის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების დასაბუთება-ახსნისთვის სათანადო გრაფა, რომელშიც მოკლედ იქნება პროგრამასთან დაკავშირებით მიგნებები არგუმენტირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი "გეოგრაფიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი "ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების" სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით

მესამე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებულია
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს მიერ 22.01.2019, #6 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	--
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ბიზნესის ადმინისტრირება - 0413
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
15	განხორციელების ადგილი	ანა პოლიტკოვსკაიას #61, 0186
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

მაკა კაჭარავამ მესამე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით სიხარულიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარმოადგინა დასკნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა მონიტორინგი, შეაფასა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. გარდა ამისა ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებით დოკუმენტაცია და დამატებითიდოკუმენტაციის საფუძველზე შეაფასა „ბიზნესი ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგები შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - კომპონენტი არ ექვემდებარებოდა შეფასებას ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია შემუშავდეს სადოქტორო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლის შედეგების ეფექტური მონიტორინგის მექანიზმი.
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების ,,სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება“, ,,ემპირიულ მონაცემთა ანალიზის“და ,,სადისერტაციო ნაშრომის წერა“ ლიტერატურის განახლება;
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსსის ,,სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება“ სადოქტორო დონესთან შესაბამისობაში მოყვანა;
4. რეკომენდირებულია დისერტაციის მინიმალურ სტანდარტებში და ასევე გაფორმების ინსტრუქციაში მკაფიო განისაზღვროს დისერტაციის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა კვლევის მეთოდოლოგია;

5. რეკომენდირებულია დისერტაციის სტრქუტურაში გაიწეროს კვლევის მეთოდოლოგია, პროცესი თუ როგორ აპირებს დისერტანტი კვლევის ჩატარებას.
6. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science (Clarivate Analytics); Scopus (Elsevier) ბაზებში, შრომების გამოქვეყნების მხარდამჭერი მექანიზმი ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებისათვის.
7. რეკომენდირებულია „გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომლებიც ინგლისურ ენაზე აქვეყნებენ ნაშრომებს შესაბამის საერთაშორისო ჟურნალებში, რათა პროგრამისა და მისი პერსონალისთვის მოიპოვონ მზარდი საერთაშორისო აღიარება.“

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ პირველი რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნები შესრულებულია ინსტიტუციის მიერ, ასევე შესრულდა კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული მეორე რეკომენდაცია და სწავლის შედეგებთან დაკავშირებული მე-3 რეკომენდაცია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ნაწილობრივ არის შესრულებული მე-4 რეკომენდაცია „განახლდეს სწავლის შედეგების რუკის სქემა, რათა პროგრამის მიმოხილვის ეტაპზე იგი გადაიქცეს პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგისა და კონტროლის ეფექტურ საშუალებად“, მისი განმარტებით ინსტიტუციის მიერ შემუშავდა სწავლის შედეგების სქემა, თუმცა მონიტორინგის ეფექტური მექანიზმი ვერ დაიანახა ექსპერტთა ჯგუფმა, სწორედ ამიტომ აღნიშნული რეკომენდაცია შეაფასეს, როგორც ნაწილობრივ შესრულებული. მე-5 რეკომენდაცია „შეფასების მეთოდოლოგიები იქნება გადახედილი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი დაკავშირებული იყვნენ თითოეული საგნის სწავლის მიზნებთან“ და მე-6 რეკომენდაცია ,,გაიზარდოს მოთხოვნები დოქტორანტების ნაშრომების პუბლიკაციებისადმი, რათა დაემატოს პუბლიკაციები ინგლისურ ენაზე და დადგინდეს მაღალი სამეცნიერო ღირებულებების მქონე ჟურნალებისა და კონფერენციების ნუსხა დოქტურანტთა ნაშრომების გამოსაქვეყნებლად“ შესრულებულია ინსტიტუციის მიერ. ექსპერტმა განმარტა, რომ მე-7 რეკომენდაცია „გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომლებიც ინგლისურ ენაზე აქვეყნებენ ნაშრომებს შესაბამის საერთაშორისო ჟურნალებში, რათა პროგრამისა და მისი პერსონალისათვის მოიპოვონ მზარდი საერთაშორისო აღიარება.“ არ იყო შესრულებული, თუმცა ექსპერტის მოსაზრებით 1 წელი არ არის საკმარისი აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად. რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციას „იმუშაონ შიდა შეფასების ფორმის გადაქცევაზე ანგარიშის გენერირების პროცესიდან შიდა აკრედიტაციის და ხარისხის გაუმჯობესების პროცესად, რომელიც ჩართული იქნება პროგრამის მენეჯმენტსა და ოპერირებაში“ აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია ინსტიტუციის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რომეო გალდავამ ისაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ რეკომენდაციების მიხედვით შემუშავდა სწავლის შედეგების რუკა და სადაც არის ნაჩვენები ის კავშირები, რომელიც უნდა იყოს სწავლის შედეგებსა და მიზნებს შორის, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი მოსაზრებით მონიტორინგის მთავარი მექანიზმი იქნება დაცული დისერტაცია და ამდენად ამ მიმართულებით ჩანაწერი არის ასეთი, რომ მთავარი არის დაცული დისერტაცია და მისი ხარისხი. სწორედ დაცული დისერტაციების ხარისხი განსაზღვრავს სწავლის შედეგის მიღწევის დონეს. რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას „რეკომენდირებულია სასწავლო კურსის ,,სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება“ სადოქტორო დონესთან შესაბამისობაში მოყვანა“ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2019 წლის აკრედიტაციის პროცესში

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ინსტიტუციას ჰყავდა უცხოელი ექსპერტი, რომელმაც დაწესებულების წარმომადგენელთან საუბარში დაინტერესდა, აღნიშნული სასწავლო კურსი ხომ არ იყო რთული ბიზნესის სტუდენტებისათვის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მისი მოსაზრებით დაძლევადია. რადგან არ იყო დაფიქსირებული მსგავსი რეკომენდაცია ინსტიტუციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ არ მიუქცევია ყურადღება და პირიქით ფიქრობდა, რომ სათანადო დონეზე იყო წარმოდგენილი, თუმცა რეკომენდაცია გააზრებული იქნება შემდგომი მუშაობის პროცესში. მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, „რეკომენდირებულია დისერტაციის მინიმალურ სტანდარტებში და ასევე გაფორმების ინსტრუქციაში მკაფიო განისაზღვროს დისერტაციის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა კვლევის მეთოდოლოგია“ დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მინიმალურ სტანდარტში და გაფორმების სტრუქტურაში არის შესავალი ნაწილი, სადაც ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი არის კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია. თუ ექსპერტთა ჯგუფი გულისხმობს, რომ უფრო კონკრეტულად უნდა იყოს ასახული, ინსტიტუცია მზადაა ეს გააკეთოს, თუმცა წარმოდგენილ დისერტაციებში მინიმალური სტანდარტი ნამდვილად არის, ხოლო თუკი ექპერტები ფიქრობენ, რომ ამას სჭირდება ცალკე გამოყოფა და გააქტიურება, ინსტიტუციაა მზადაა ეს მიიღოს და შემდგომში პროცესები განაახლოს. რაც შეეხება, რეკომენდაციას „რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science (Clarivate Analytics); Scopus (Elsevier) ბაზებში, შრომების გამოქვეყნების მხარდამჭერი მექანიზმი ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებისათვის.“ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციას ამ მიზნით გააჩნია თანხები და შემდგომში ბიუჯეტში კიდევ უფრო გაიზრდება აღნიშნული თანხების რაოდენობა. რეკომენდაციასთან დაკავშირებით „გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომლებიც ინგლისურ ენაზე აქვეყნებენ ნაშრომებს შესაბამის საერთაშორისო ჟურნალებში, რათა პროგრამისა და მისი პერსონალისთვის მოიპოვონ მზარდი საერთაშორისო აღიარება.“ დაწესებულების წარმოამდგენლის განმარტებით, პროგრამაში არის აკადემიური პერსონალი, რომელიც აქვეყნებს საერთაშორისო ჟურნალებში შესაბამისი დონის ნაშრომებს, თუმცა ამ პერიოდში ვერ მოხერხდა, რადგან დაკავშირებულია გარკვეულ პროცედურებთან და ამ მიმართულებითაც გააგრძელებს ინსტიტუცია მუშაობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ იყო 8 რეკომენდაცია, საიდანაც 6 შესრულდა, 1 შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო 1 ვერ შესრულდა. საბჭოს წევრმა ხაზი გაუსვა, რომ იზიარებს ექსპერტის მოსაზრებას რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ვერ შესრულდა, და აღნიშნა, რომ მისი შესრულება 1 წელიწადში რთული იქნებოდა. შემდგომ ამისა დაემატა 6 რეკომენდაცია, საიდანაც ერთი არის სწორედ შეუსრულებელი რეკომენდაცია, მაგრამ 5 ახალი. საბჭოს წევრის მოსაზრებით ეს ქმნის გარკვეულ გაუგებრობას. საბჭოს წევრი დაინტერესდა ექსპერტის მოსაზრებით, აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის რა დროა საჭირო აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად და თუ არის ისეთი პრინციპული რეკომენდაციები, რომლებიც ხელს უშლიან სწავლის შედეგებზე გასვლას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ 7 რეკომენდაციიდან, დაახლოებით 5 რეკომენდაციის შესრულება შესაძლებელია 1 თვეში, რაც შეეხება დანარჩენ ორ რეკომენდაციას მაგალითად: მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებასთან დაკავშირებით და დოქტორანტებისათვის საშუალების მიცემა, რომ გამოაქვეყნონ მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში ამას სჭირდება დრო, რადგან მზადაც, რომ იყოს კვლევა და სტატია, ის რომ

გამოქვეყნდეს ისეთ ჟურნალში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science (Clarivate Analytics), Scopus (Elsevier) ბაზებში სჭირდება მინიმუმ 6 თვე, რადგან მათ ჰყავთ რეცენზენტები და მოწმდება სხვადასხვა მიმართულებით.

საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი დაინტერესდა პროცედურასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ კონკრეტულად აღნიშნული პროცესი იყო მიმართული გარკვეული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით, რომელიც 2019 წლის აკრედიტაცის საბჭომ დაუწესა ინსტიტუციას. საბჭოს წევრმა მიმართა კითხვით ექსპერტთა ჯგუფს, რომ ამჟამინდელი შემადგენლობთ იყვნენ თუ არა ისინი მონაწილეები წინა შეფასებაში. საბჭოს წევრის განმარტებით, ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ იმ შემთხვევაში თუ მაგალითად ხვალ სხვა ექსპერტთა ჯგუფი შეაფასებს აღნიშნულ პროგრამას და კიდევ ახალი რეკომენდაციები გაჩნდა, ეს პროცესი გაგრძელდება მუდმივად. საბჭოს წევრის მოსაზრებით აღნიშნული რეკომენდაციები რელევანტურია და კარგია, თუმცა რამდენად ჯდება სამართლებრივ ჭრილში ეს პროცედურა, ხომ არ სცდება მიზანს და მისიას. საბჭოს წევრის მოსაზრებით მნშვნელოვანია ეს საკითხი გადაწყვეტილების მისაღების მომენტისთვის.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა, როგორც ინსტიტუციას, ასევე ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ექსპერტებს დასკვნაში პროგრამის აღწერაში დაფიქსირებული აქვთ, რომ პროგრამა თავისი მოცულობით 180 კრედიტს შედგენს, აქედან 46 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 134 კრედიტი კვლევით კომპონენეტს. საბჭოს წევრი დაინტერესდა პროგრამა არსებული ვითარებით დახვდა ექსპერტთა ჯგუფს და ამიტომ აისახა დასკვნაში ეს ჩანაწერი,რადგან მისი განმარტებით აღნიშნული არ იკვეთება პროგრამიდან. ამჟამინდელ პროგრამაში გაწერილია მხოლოდ სასწავლო კომპონენტი, სამეცნიერო კვლევით კომპონენტზე კრედიტები არ არის გადანაწილებული. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ეს იყო ტექნიკური ხარვეზი თუ ექსპერტებმა უბრალოდ ნარატივი გადმოიტანეს ძველი დასკვნიდან და იქფიქსირდებოდახარვეზი. საბჭოს წევრმა, ასევე კითხვით მიმართა ინსტიტუციას და აღნიშნა, რომ პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსები ძალიან საინტერესოდ იყო გაწერილი, უპირატესად სწავლის ტრანსფერული შედეგები, რაც არის საჭირო კვლევის უნარებისთვის, მათ შორის სწავლების უნარებისთვის. საბჭოს წევრმა აღნიშნა, მან, რომ მოინდომოს აღნიშნულ პროგრამზე ჩარიცხვა, ხოლო სამეცნიერო მიმართულებად შეარჩიოს ბიზნეს ადმინისტრირების ინოვაციური HR ან სხვა, კონკრეტულად რა მიმართულებებზეა ორიენტირებული კვლევები, რადგან არ არის ფოკუსირება,

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, საბჭოს წევრების შეკითხვებთან დაკავშირებით ისაუბრა და განმარტა, რომ ცენტრის მხრიდან ექსპერტს აქვს უფლება გარდა იმისა, რომ შეაფასოს მონიტორინგის ფარგლებში ინსტიტუციის მიერ შესრულებულია თუ არა რეკომენდაციები, ასევე შეუძლიაახალი მიგნებების გამოვლენის შემთხვევაში ისიც დააფიქსიროს. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ მას აქვს ასეთი ინფორმაცია და გამოიყენა აღნიშნული უფლება. ექსპერტმა ასევე დაადასტურა, რომ არ იყო წინა ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ განმარტა, რომ სამეცნიერო კომპონენტი არ არის კრედიტებში, როგორც ეს არის პროგრამაში. როგორც კი ბრძანებაში შევიდა ცვლილება, ყველა სადოქტორო პროგრამებშიც შევიდა შესაბამისი ცვლილებები და სამეცნიერო კომპონენტი კრედიტებში არ იზომება. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, ექსპერტთა დასკვნაში სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზია. მან ასევე აღნიშნა, რომ არის მიღების ისეთი წესები, რომელიც პროგრამაში არის გაწერილი. როდესაც აპლიკანტი მოდის, უტარდება გასაუბრება და იქ ხდება იმის დაზუსტება შეძლებს თუ არა ინსტიტუცია ამ მიმართულებით დოქტორანტის მომზადებას. გაწერილია მთელი რიგი პროცედურები და ფაქტიურად მიღების

პროცედურიდანვე დადასტურებულია ინსტიტუციის მზაობა, თუ თანხმობა ექნება დოქტურანტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით ჯალაღონიამ დამატებით აღნიშნა, რომ როდესაც ექსპერტთაჯგუფი იყო ინსტიტუციაში მონიტორინგის მიზნით, იყო რჩევები მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, ამიტომ ინსტიტუცია შეეცადა, რომ ეს გაეთავლისწინებინა და უფრო სიღრმისეულად გაეწერა. რაც, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ექპსრეტებს ძალიან მოეწონათ და დასკვნაში აღნიშნეს, როგორც ძალიან რთული, მაგრამ ძალიან მისაღები. როდესაც აპლიკანტი მიდის აღნიშნულ პროგრამაზე და წარადგენს დოკუმენტაციას, მას ინსტიტუციამ ორი დღის ვადაში უნდა დაუდასტუროს შეუძლია თუ არა მისი უზურუნვლყოფა სამეცნიერო ხელმძღავანელით. თუ შეძლებს ინსტიტუცია, გრძელდება აპლიკანტთან მუშაობა, ხოლო თუ ვერ შეძლებს ხდება აპლიკანტის ინფორმირებად ამასთან დაკავშირებით და ამ პროცესით სრულდება მასთან ურთიერთობა. პროგრამისთვის მნიშვნელოვანია ხარისხი და ის, რომ პროგრამაში ჩართულმა პროფესორებმა, უზრუნველყონ შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:50
დასრულების დრო: 18:12

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვის საკითხი, კერძოდ დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად 60 დღის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტისა და 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს განესაზღვრა 60 დღიანი ვადა "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი,
რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების ,,სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება“, ,,ემპირიულ მონაცემთა ანალიზის“და ,,სადისერტაციო ნაშრომის წერა“ ლიტერატურის განახლება;
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსსის ,,სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება“ სადოქტორო დონესთან შესაბამისობაში მოყვანა;
3. რეკომენდირებულია დისერტაციის მინიმალურ სტანდარტებში და ასევე გაფორმების ინსტრუქციაში მკაფიო განისაზღვროს დისერტაციის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა კვლევის მეთოდოლოგია;

4. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა შექმნას ქმედითი მექანიზმი გააძლიეროს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science (Clarivate Analytics); Scopus (Elsevier) ბაზებში, შრომების გამოქვეყნების უზრუნველსაყოფად;
5. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ქმედითი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს „გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა, რომლებიც ინგლისურ ენაზე აქვეყნებენ ნაშრომებს შესაბამის საერთაშორისო ჟურნალებში;
6. რეკომენდირებულია შემუშავდეს სადოქტორო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლის შედეგების ეფექტური მონიტორინგის მექანიზმი.

რჩევები:

1. საერთაშორისო კონფერენციებში, ღონისძიებებსა და კვლევით საქმიანობებში აკადემიური პერსონალის ჩართულობის მხარდაჭერის გაღრმავება.

მეოთხე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „შედარებითი და კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შედარებითი კომერციული სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს 06.08.2020 წლის N 670727 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 - სამართალი

12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. №2
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

დიანა მჭედლიშვილმა მეოთხე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „შედარებითი და კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პ როგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები ფაქტობრივად შესრულებული იყო ინსტიტუციის მიერ, რომელიც შეეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს, რიგ სასწავლო კურსებს. თუმცა, დარჩა ორი რეკომენდაცია.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „შედარებითი და კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - კომპონენტი არ ექვემდებარებოდა შეფასებას ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - კომპონენტი არ ექვემდებარებოდა შეფასებას ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. „აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები“ სილაბუსი დაიხვეწოს, რათა შენარჩუნებული იყოს სასწავლო კურსის შინაარსის ლოგიკური ჯაჭვი;
2. „სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება“ სილაბუსი კვლავ გადამუშავდეს რათა მეტად ორინტირებული იყოს ქართულ რეალობაზე. ასევე მიეთითოს უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილებების რეკვიზიტები, გასწორდეს ტექნიკური შეცდომები სასამართლოს დასახელებებთან დაკავშირებით. სასამართლო გადაწყვეტილებები შეირჩეს კომერციული სამართლისათვის პირდაპირ დაკავშირებული თუ არა, შედარებით რელევანტური სასამართლო პრაქტიკით.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლისვილმა განმარტა, რომ მნიშვნელოვანი საკითხია, მიეთითოს ის უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელიც სასწავლო კურსის თემატიკაში მითითებული საკითხების რელევანტური იქნება. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ როდესაც გადახედეს უშუალოდ თემატიკას, ზოგიერთ შემთვევაში მითითებული სასამართლო გადაწყვეტილება არ მიესადაგებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ვახტანგ ზაალიშილმა ისაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ რეკომენდაცია, რომელიც აკადემიურ წერას შეეხება, სადაც საუბარია სილაბუსის დახვეწაზე მდგომარეობს იმაში, რომ არასწორად იქნა აღქმული მე-4 კვირის თემა. მისი განმარტებით, დასკვნაში მოცემულია ასეთი შეხედულება, რომ მე-4 კვირის თემატიკის სათაური, კერძოდ საკანონმდებლო პროცესი არის აკადემიური წერის ნაწილი, ან სამართლებრივი წერის ნაწილი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თავად ძნელად თუ დაეთანხმება რეკომენდატორს, ხოლო მიზეზი არის ის, რომ სამართლის სფეროში აკადემიური კვლევისთვის და კვლევითი მეთოდებისთის სასიცოცხლოდ მნიშნელოვანია წყაროების კვლევა, მე-4 კვირაში კი სწორედ ერთ-ერთ წყაროს კვლევაზე არის საუბარი. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ მისი სუბიექტური მოსაზრებით ეს რეკომენდაცია გამოიწვია ტექნიკურმა გაუგებრობამ. არსებობს ასეთი სახელმძღვანელო „სამართელბრივი წერა“, 2017 წელსს, „GIZ“-ის მიერ გამოცემული, ავტორთა კოლექტივით, მათ შორის ძალიან ცნობილი ავტორებით, ერთ-ერთი არის უზენაესი სასამართლოს ყოფილი წევრი და უპირატესად მოსამართლეებით დაკომპლექტებული საავტორო ჯგუფია, რომლის მე-5 თავში არის პრაქტიკულად იდენტური სათაური და დაწესებულების წარმომადგენლის აზრით სწორედ ეს არის გაუგებრობის ნაწილი. რადგან სახელმძღანელოს ქვია „სამართელბრივი წერა“, რომლის ერთ-ერთი თავი არის სამართალ შემოქმედებითი პროცესი, რაც საკანონმდებლო

პროცესის იდენტურია, თუმცა იქ თემატიკა წაყვანილია კარდინალურად განსხვავებულ ჭრილში, კერძოდ საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდა იწერებოდეს კანონი, მისი ნორმა, განმარტებითი ბარათი და ა.შ. ანუ წერის კულტურაზე და სამართლებრივი წერის სტილზე არის საუბარი. პროგრამის აღნიშნულ სილაბუსში პრაქტიკულად იდენტური სათაურით არის წარმოდგენილი იგივე თემა, თუმცა სხვა რაკურსით ანუ იმისათვის, რომ სამართლებრივი კვლევა შესრულდეს საჭიროა წყაროთა ანალიზი და საკანონმდებლო პროცესი, როგორც ერთ მთლიანობა მისი შედეგებით, მათ შორის განმარტებითი ბარათი, კანონპროექტი, დასკვნები, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ არის წარმოდგენილი აღიქმება არა იმ კუთხით თუ როგორ უნდა შეიქმნას ეს დოკუმენტაცია სამართლებრივი წერის თვალსაზრისით, არამედ საუბარია ამ დოკუმენტების და თავად მთლიანობაში, როგორც პროცესის წყაროდ განხილვა, ანუ კვლევის წყაროდ განხილვა. აქედან მოდის შენიშვნის მეორე ნაწილი, რომელიც ასევე დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით დამაბნეველია. მისი განმარტებით სავსებით ლოგიკური ადგილი უჭირავს თემატიკას სილაბუსში, რადგან მოდის მესამე კვირის შემდეგ. მესამე კვირაში საუბარია წყაროებზე და ამ თემის გაგრძელება არის სწორედ საკანონმდებლო პროცესი, როგორც კვლევის ერთ-ერთი წყარო. წარმოუდგენელია სამართალში კვლევის გაკეთება, თუკი სამართელბრივ ნორმას მის ტელეოლოგიას და შექმნის ისტორიას, როგორც ერთ მთლიანობას არ იკვლევ. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით ამ შემთხვევაში უბრალოდ გაუგებრობაზე არის საუბარი და არა იმაზე, რომ ეს სილაბუსი საჭიროებს დახვეწას. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე ისაუბრა მეორე რეკომენდაციისათან დაკავშირებით და განმარტა, რომ ფაქტობრივად შინაარსის ნაწილი არის ტექნიკური ხასიათის, სადაც გაიპარა მცირედი შეცდომები, რომელიც უკვე გამოსწორებულია ინსტიტუციის მიერ. ამერიკის უზენაესი სასამართლოსა და ბრიტანულ პრაქტიკასთან დასაზუსტებელი იყო ცალკეული რეკვიზიტები და ამ ნაწილში ინსტიტუციის წარმომადგენლები მადლობლები არიან რეკომენდატორის, რადგან ეს შენიშნეს. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ თავისი მოსაზრებით აღნიშნული რეკომენდაცია თავისი არსით არ არის რეკომენდაცია და არის უფრო მეტად რჩევის სახით გამოთქმული მოსაზრება, რადგან სილაბუსის ავტორი ირჩევს, როგორც თავისი კურისის შინაარს, კონსტრუქციას, შემადგენლობას, ლოგიკურ ბმას და სტრუქტურას, ასევე ცალკეული დეტალების ჩართვა არ ჩართვის საკითხზე იღებს გადაწყვეტილებას, როდესაც წერსს სილაბუსს. აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენელმა დასვა რიტორიკული კითხვა, შესაძლებელია თუ არა ავტორის სილაბუსის ლოგიკურ აზროვნების სტილში, რომელიც ამ შემთხვევაში სილაბუსის სახით არის წარმოდგენილი ასეთი ჩარევა და ხომ არ არის ეს აკადემიურ თავისუფლებაში დაუსაბუთებელი თუ დასაბუთებელი ჩაჭრა. პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ რეკომენდაციის ამ შინაარსს განიხილავს უფრო მეტად რჩევის ნაწილში და. სილაბუსიც არის კომპონენტი სასწავლო პროცესში, რომელიც მუდმივ გადამუშავებას ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, როგორც პროგრამის ხელმძღვანელს არ აქვს არანაირი წინააღმდეგობა, რომ იგი გამდიდრდეს ქართული სასამართლო პრეცედენტებით.

დაწესებულების წარმოამდგენელმა, ირაკლი კლდიაშვილმა, ისაუბრა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ იზიარებს პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებას. მისი განმარტებით, აბსოლიტურად მისაღებია რჩევის ფორმა, ეს ამდიდრებს და დაწესებულების წარმომადგენლებისთვისაც დამხმარე საშუალებაა, რომ კონკრეტულ იდეებში გაითვალისწინონ ექპსერტთა რეკომენდაციები. თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული კურსი არ არის მხოლოდ მის აზრში დაწრეტილი ლოგიკა და შემდგომ გადმოდინებული სილაბუსში, ეს არის გათვალისწინებული პრაქტიკა, რომელიც თავად დაწესებულების წარმომადგენელმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც მაგისტრატურაზე სწავლისას და ახლა დოქტორნატურის საფეხურზე, სადისერტაციო ნაშრომის წერის სტადიაზე შეისწავლა, ამიტომ ეს არის იქიდან გამოღებული და ლოგიკით გაჯერებული სილაბუსი, რაც განხორიციელბულა პრატქიკაში. დაწესებულების წარმომადგენელი, ასევე

აღნიშნავს, რომ თუ გავითვალისწინებთ თვითონ კურსის აგებულებას, ეს არის იმ ლოგიკის გადმოცემის და გაზიარების მცდელობა სტუდენტებისათვის, რასაც ავითარებს თვითონ ამერიკის შეერთებულ შტატებში გარკვეული სამართლის სკოლები, ამიტომ განსაკუთრებული ცვლილების შეტანა, თვითონ ლოგიკას დაარღვევს.რაც შეეხება ქართული მაგალითებით გამდიდრებას, დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავს, საქართველოში ბევრ სასამართლო პროცესში მიუღია მონაწილეობა, მათ შორის ძალიან დიდ დავებში და არ არის მისთვის რთული, რომ კონკრეტული რეალური ქეისები, რათქმაუნდა მაიდენტიფიცირებელი საკითხების ამოკლებით გამოიყენენონ სასწავლო პროცესში და გაამდიდრონ სასწავლო კურსი. თუმცა, მისი მოსაზრებით, არის ერთი საკითხი, რომ ეს არის მაგისტრატურის დონე, ხოლო საბაკალავრო დონეზე ქართული მაგალითები განხილული აქვთ სტუდენტებს. იგივე ქეისებზე პარალელის გავლება და ქართული სასამართლო პარქტიკის გათვალისწინებით, რომელიც არ არის ისე განვითარებული, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია, რომელიც ემთხვევა იმ ლოგიკის ტრაექტორიას, რომელიც განვითარება სურთ პროგრამის წარმომადგენლებს სტუდენტებში. ქართული რეალობა ერთხელ უკვე განხილული აქვთ სტუდენტებს და კურსში გამოსაყენებელი საქმეებიც არის ასევე ცოტა, ხოლო მისი მაგისტრატურის დონეზე გადმოტანა გამოიწვევს ტავტოლოგიას, გამორებას და დროის კარგვას. განსაკუთრებული დამხმარე ელემენტიც არ გახდება. დაწესებულების წრამოამდგენელმა აღნიშნა, რომ თუ ამას საბჭოს წევრები გაითვალისწინებენ, წარმომადგენლის გამოცდილებიდან გამომდინარე მადლობელი იქნება.დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი კლიდაშვილმა ასევე ხაზი გასუვა, რომ რამოდენიმე საქმით გაამდირებენ და მიიღებენ რჩევას, თუმცა მისი მოსაზრებით შესაძლოა გამოვიდეს მექანიკური გამდიდრება, რადგან მათი პოზიციაა, რომ შინაარსობრივად გააღრმაონ და უფრო გაჯერებული იყოს სასწავლო კურსი. აქედან გამომდინარე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისის მოსაზრებით უმჯობესია დარჩეს ისე, როგორც არის. ნებისმიერ კურსში, ყოველთვის ჩანს, რომ სილაბუსთან ერთად ყოველთვის ამოდის საკითხები, რომელთა განხივლვაც ისედაც უწევთ. დამატებითი მასალის შეტანა ყოველთვის ხდება ლექციებზე და ის, რომ სტუდენტს უკმარისობის შეგრძნება ექნება ასე არ ხდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ზაალიშვილმა საბჭოს მიმართა თხოვნით, გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ საუბარია ერთ სილაბუსზე და ამ სილაბუსიდან ერთ თემაზე, რომელიც აკადემიური წერის ნაწილში იმდენად მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომ ამის ამოღება და სხვანაირად კვალიფიკაცია უბრალოდ შეუძლებელია. რაც შეეხება, მეორე რეკომენდაციაში ნახსენებ სილაბუსს, დაწესებულების წარმოამდგენელმა დაამატა, რომ ეს არის შედარებით სამართლებრივი მეთოდოლოგიაზე აგებული სამაგისტრო საფეხური და რომ არ იყოს ქართული პრეცედენტები და მხოლოდ ამერიკული სამართლებრივი აზროვნების სტილი ისწავლებოდეს, ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, რადგან სტუდენტმა უნდა შეასრულოს კვლევა შედარებით სამართლებრივ მეთოდოლოგიის გამოყენებით. მათ შორის შტატების საერთო სამართლის ანალოგზე დაყრდნობით და კიდევ ერთი ინდიკატორი არის დასაქმების მაჩვენებელი. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით დამსაქმებლის მაჩვენებელის გათვალისწინებით გადასახედი არაფერი არ არის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება ასახულია დასკვნაში. მოცემულობა, რომ მითითებულ სასამართლო გადაწყვეტილებას საჭიროა სწორად ჰქონდეს მითითებულ რეკვიზიტები, დამატებითი არგუმენტების მოძიებას არ საჭიროებს. რაც შეეხება საკითხს, რომ შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებების გამეორება მოხდეს საბაკალვრო საფეხურიდან სამაგისტრო საფეხურზე, ექსპერტის განმარტებით შესაძლებელია სხვა უამრავი სასამართლო გადაწყვეტილების მითითება, რაც მეთოდოლოგიურად არის საჭირო, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კურსი სასამართლო გადაწყვეტილებების შემსწავლელი არ არის. ხოლო პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბოლო ნაწილში არ ეთანხმება ინსტიტუციის წარმომადგენლის მიერ

გამოთქმულ მოსაზრებას, ხოლო პირველ ნაწილში შესაძლებელია გარკვეულწილად უფრო მაღალი რჩევადობის კუთხით შეფასდეს. ექსპერტმა განმარტა, რომ შესაძლებელია აღნიშნული იყო რეკომენდაციისა და რჩევის ზღვარზე, თუმცა დასაქმების ბაზარი ერთი სილაბუსის კონკრეტული თემის საკითხთან ნაკლებად პარალელურია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნონა ზუბიტაშვილმა დაამატა, რომ „სამართლებრივი არგუმენტაციის და დასაბუთების“ სილაბუსთან მიმართებით, შეფასებისას ექსპერტის ლოგიკა, იყო რომ მითითებული სასამართლო გადაწყვეტილებები თემატურად შორს იყო კურსის თემატიკასთან. იქ იყო სასამართლო გადაწყვეტილებები აბორტის უფლებასთან მიმართებით, დელიქტიდან გამომდინარე და ასევე აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები. ექსპერტის მოსაზრება იყო ასეთი, რომ გადაწყვეტილებები ყოფილიყო არა მხოლოდ ქართული, არამედ ყოფილიყო ამერიკული გადაწყვეტილებებიც, თუმცა ყოფილიყო კომერციულ სამართალთან მეტად უფრო დაახლოებული თემატურად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი კლიადშილმა აღნიშნა, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა არ არის სტრუქტურულად ისეთი სისტემა, სადაც იმდენად მნშვნელოვნად იცვლება პირველი ინსტანციიდან ბოლო ინსტანციამდე სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ლოგიკა, რომ სამწუხაროდ გამოდის რომ გამეორებაა და ახალი არაფერი არ არის. ქეისი ერთხელ გავლილი და ნასწავლი აქვს სტუდენტს, შემდეგ სიღრმისეულად წასვლა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებზე განსაკუთრებულ ცვლილებას არ განიცდის არც სააპელაციო და არც საკასაციო დონეზე. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ გამოყენებული გადაწყვეტილებები მაგალითად „აბორტის უფლებაზე“ შეხეება ქალის უფლებას ამასთან დაკავშირებით, რაც დღესაც აქტუალურია და ამასთან დაკავშირებით პროტესტი იყო უზენაეს სასამართლოსთან ქეისის გადახედვის მოთხოვნასთან დაკავშირებით. საუბარია ლოგიკაზე, აზროვნების სტილზე და თუ როგორ ვითარდება დასაბუთების ლოგიკა, ასევე შეიცავს კომერციულ ნაწილსაც, რადგან აღნიშნულმა ქეისმა გავლენა იქონია სამედიცინო დაწესებულების კომერციულ საქმიანობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აბსოლიტურ თანხვედრაშია წარმოდგენილი ქეისები თემატიკებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვლიმა აღნიშნა, რომ არ არის დარგი სპეციალისტი, თუმცა ზედაპირული გადახედვის საფუძველზე გაუჩნდა რამდენიმე დამაზუსტებელი კითხვა. საბჭოს წევრის მოსაზრებით მეთოდოლოგიური თვალთახედვით, პროგრამის მიზნები თითქოს უფრო მეტად სწავლის შედეგებს ჰგავს. როგორია ამასთან დაკავშირებით ინსტიტუციის პოზიცია. ასევე საბჭოს წევრის მოსაზრებით მოძველებული ლიტერატურა არის მითითებული. მისი განმარტებით სამაგისტრო პროგრამა ძალიან საინტერესოა, ასევე საინტერესო სასწავლო კურსებით,თუმცა საინტერესოა, რამ განაპირობა მითითებული ძველი ლიტერატურის მითითება. მაგალითად: „საერთაშორისო კერძო სამართალი“- თენგიზ ლილუაშვილის 2000წ, რომლის განახლებული ვერსიაც არსებობს 2020 წლის ბაკურ ლილუაშვილის ავტორობით. ასევე ზ.გაბისონიას „ქართული საერთასორიოს სამართალი“, სადაც საბჭოს წევრის განმარტებით, უნდა იყოს „საერთაშორისო კერძო სამართალი“, რადგან ზ.გაბისონია საერთაშორიო სამართალში არ მუშაობს, შესაბამისად სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზია. აღნიშნული ლიტერატურა მითითებულია 2011 წლის, თუმცა ზ.გაბისონიას ავტორობით არსებობს 2016 წლის განახლებული ვერსია. ასევე ინგლისურ ენოვანი შედარებით სახელშეკრულებო 1994 წლის გამოცემა არის მითითებული, თუმცა დიდი რეფორმები, რომელიც ამ სფეროში

განხორციელდა მათ შორის გერმანიაში 1994 წლის რესურსით როგორ შეიძლება იქნას დაფარული. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორია დაწესებულების პოზიცია ამასთან დკაავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ ლიტერატურასთან დაკავშრებით ცალკეულ შემთხვევაში არის ტექნიკური ხარვეზი, თუმცა საუბარია სამაგისტრო პროგრამაზე და ერთის მხრივ თუ მოძველებულ ლიტერატურაზე არის საუბარი, სამართელბრივი კვლევის და ზოგადად აკადემიური სამეცნიერო კვლევის ნაწილია ისტორიული ტელეოლოგია და კვლევის მეთოდები, ამდენად ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული საკითხების განხილვისას აუცილებელი ხდება ისტორიული ექსკურსების მოშველიება და ამ თვალსაზრისით შეუძლებელია იმის თქმა, რომ ნებისმიერი ძველი წიგნი მაგალითად ლუნცის ან საბჭოთა პერიოდში გამოცემული რომის სამოქალაქო სამართალი, არარელევანტურია სამაგისტრო პროგრამისათვის. რაც შეეხება საბჭოს წევრის მიერ მოყვანილ კონკრეტულ მაგალითებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბ.ლილუაშვილის ახლად გამოცემული სახელმძღვანელო არის რეპროდუცირება ძველის, ამ დარგში 1997 წლიდან არაფერი არ განხორციელებულა ახალი, არამხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებებში, არამედ გამოირჩევა სასამართლო პრაქტიკის სიმცირითაც, არც პრეცედენტულ სამართალში არის სიახლეები. შეუძლებელია ქართული რეალობიდან გამომდინარე, სამართლის ქვედარგი ამ შემთხვევაში არის ტაგნაციაში. დაწესებულების წარმოამდგენელმა ხაზი გაუსვა, რომ წლების განმავლობაში კითხულობდა აღნიშნულ კურსს და იცის მისი ყველა სეგმენტი, ამდენად მისთვის, როგორც სილაბუსის ავტორისთვის პრინციპულად დიდი სხვაობა არ არის 2002 წლის სახელმძღვანელოს მიუთითებს თუ 2011, რადგან არსი და ძირითადი პრინციპები, რომელიც კვლევაში სჭირდება სტუდენტს, რომ ქართული რეალობის დესკრიფცია მოახდინოს ცვლილებები არ არის. რაც შეეხება შედარებით კერძო სამართალს და მითითებულ 1994 წლის სახელმძღვანელოს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საუბარია ორ ავტორზე, ცვაიგერტზე და კოტცზე, რომლებიც იყვნენ მაქსპლანტის დირექტორები სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში და შედარებით კერძო სამართალმცოდნეობაში ეს არის ერთგვარი „ბიბლია“. კლასიკური სახელმძღვანელოა, რომლის ახალი გამოცემები არ არსებობს. დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ხელი მიუწვდება, როგორც გერმანულ ორიგანლ ვერსიაზე, ასევე ინგლისურ და რუსულ თარგმანზე. ლიტერატურაში, ასევე არის კრიტიკა მაგალითად შედარებითი სამართალმცოდნეობის და მითითებულია თანამედროვე ლიტერატურა, რადგან კლასიკოსი ავტორების შემდეგაც ხდებოდა შედარებით სამართალმცოდნეობის განვითარება და შერჩეულია ყველაზე რელევანტური ახალი წიგნები.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა დაამატა, რომ ეთანხმება დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციას და კლასიკოსების სახელმძღვანელოების არ შეტანაზე არ იყო საუბარი, თუმცა როდესაც მითითებულია 1994 წლის სახელმძღვანელო ან თ.ლილუაშვილის სახელმძღვანელო, მაშინ როდესაც საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონში 2 თუ 3 მუხლი შეიცვალა, რომელსაც თ.ლილუაშილი ვერ აღწერდა, რადგან ამ დროისათვის გარდაცვლილი იყო, რა რესურსებით ისწავლება ეს? საბჭოს წევრის განმარტებით, ახალი კვლევები, როგორც ქართული, ასევე უცხოური უფრო გაამდიდრებდა ლიტერატურას.

დაწესებეულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ მისი დისერტაცია ეხებოდა საერთაშორისო სახელშეკრულებო საკოლიზიო საკითხებს. წარმომადგენლის განმარტებით ამ დარგში, ეს არის მისი ერთ-ერთი სპეციალობა. ხოლო, შეცვლილი ორი მუხლი პრინციპულად არაფერს არ ცვლის იმიტომ, რომ კანონი არის გერმანული სამოქალაქო კოდესის შესავლი კანონიდან ძალიან ცუდი თარგმანით, სიტყვასიტყვით გადმოღებული. დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ თავად იყო მომსწრე, როგორ იწერებოდა ეს კანონი იუსტიციის სამინისტროში. კანონში არ არის ისეთი ცვლილებები

განხორციელებული, რომელიც არსობრივ და დოგმატურ სიახლეს შეიტანდა არსებულ მოწესრიგებაში და ამიტომ არ არის მითითებული. მიზნებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმოამდგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუციის გადმოსახედიდან მიზანი არის, თუ რა ტიპის კურსდამთავრებული უნდა გამოვიდეს პროგრამის შემდეგ და ამ კითხვას პასუხობს მიზნები, ხოლო შედეგები ფორმულირებულია იმისთვის, რომ საბოლოო პროდუქტი იქნეს მიღებული, თუ რა ცოდნას, უნარებს და ავტონომიურ პასუხისმგებლობას უნდა ფლობდეს სტუდენტი. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით ფორმულირებაში პრობლემა არ არის, რაც გავლილია ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მათ შორის თავად დაწესებულების წარმომადგენელი იყო დარგობრივი სტანდარტის შემმუშავებელ ჯგუფში და მისი მოსაზრებით ამ ნაწილში პრობლემა არ არის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:48

დასრულების დრო: 19:00

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. საბჭო აღნიშნავს, რომ გაითვალისწინა 2021 წლის 23 ივლისს გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე უსდ-ს წარმომადგენელთა მიერ დაფიქსირებული პოზიცია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებული შეფასება და მიიჩნია, რომ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეწყდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „შედარებითი და კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი,

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი,

რეკომენდაციები:

1. „სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება“ სილაბუსი კვლავ გადამუშავდეს რათა მეტად ორინტირებული იყოს ქართულ რეალობაზე. ასევე მიეთითოს უცხოოური სასამართლოს გადაწყვეტილებების რეკვიზიტები, გასწორდეს ტექნიკური შეცდომები სასამართლოს დასახელებებთან დაკავშირებით. სასამართლო გადაწყვეტილებები შეირჩეს კომერციული სამართლისათვის პირდაპირ დაკავშირებული თუ არა, შედარებით რელევანტური სასამართლო პრაქტიკით.

რჩევები:

2. „აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლების მეთოდები“ სილაბუსი დაიხვეწოს, რათა შენარჩუნებული იყოს სასწავლო კურსის შინაარსის ლოგიკური ჯაჭვი;
3. სასურველია ზოგიერთ სასწავლო კურსში მოხდეს ლიტერატურის განახლება სწავლების საფეხურის შესაბამისად.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „შედარებითი და კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა.

მეხუთე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიოლოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოსოფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებულია
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს მიერ 22/01/2019, #20 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოსოფიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი	-

	ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი	ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5 თბილისი 0162, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

ელენე ჟურავლოვამ მეხუთე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი თავაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მონიტორინგი ითვალისწინებდა „ფილოსოფიის“ სადოქტორო პროგრამის შემოწმებას, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო 2018 წლის 9 ნოემბერს განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში საჭირო დოკუმენტები და ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებიდან

გამოითხოვა დამატებითი მასალა: დაცული დისერტაციები (2018 წლის ნოემბრიდან დღემდე), დოქტორანტების სადოქტორო სემინარების და დარგობრივი სემინარების ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკები (სასწავლო თემატიკისა და საკითხავი მასალის მითითებით, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი და ა.შ. ექსპერტა, ასევე ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულებამ ვადების დაცვით მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული დოკუმენტაცია, რომელიც განიხილა ექსპერტთა ჯგუფმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დასკვნაში იყო მხოლოდ ერთი რეკომენდაცია „პროგრამის კურიკულუმში მითითებულია, რომ პროგრამა შედგება 180 კრედიტისგან. თუმცა, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 46-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.“ შესაბამისად, დაწესებულებამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს აღნიშნული ჩანაწერი კანონის მიმდინარე მოთხოვნებთან.“ რაც გაითვალისიწინა დაწესებულებამ. შესაბამისად, საბოლოო დასკვნაში აღარ დაფიქსირდა აღნიშნული რეკომენდაცია. ასევე იყო რჩევები, რომლებიც შეეხებოდა სხვადასხვა ტექნიკურ საკითხებს.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - კომპონენტი არ ექვემდებარებოდა შეფასებას ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული იყორეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა „პროგრამის კურიკულუმში კრედიტების რაოდენობას, რეკომენდაციის საფუძველზე ინსტიტუციამ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა შესაბამისი პროგრამის დაკორექტირებული სქემა,რომელშიც გაწერილია, რომ სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრებს არ დაუფიქსირებიათ მოსაზრებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:05

დასრულების დრო: 19:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. საბჭო აღნიშნავს, რომ გაითვალისწინა 2021 წლის 23 ივლისს გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე უსდ-ს წარმომადგენელთა მიერ დაფიქსირებული პოზიცია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებული შეფასება და მიიჩნია, რომ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეწყდეს.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რჩევები:
1. სასურველი იქნება, თუკი პროგრამის მიზნების აღწერისას გათვალისწინებული იქნება ის პროფილი/ძლიერი მხარე, რომლითაც პროგრამა ფიგურირებს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში;
2. სასურველი იქნება, თუკი პროგრამის მიზნებში სოციალური მისია („საზოგადოებრივი წინსვლა“) უფრო დაწვრილებით იქნება აღწერილი;
3. სასურველი იქნება, თუკი პროგრამის მიზნების გადმოცემისას გათვალისწინებული იქნება პროფესიული გამოცდილების მქონე დოქტორანტთა კატეგორიაც.საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 23 ივლისს;
4. პროგრამის შედეგები გაიწეროს განახლებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად (როგორც პროგრამის კურიკულუმში, ასევე, ცალკეულ სილაბუსებშიც);
5. სასურველი იქნება, თუკი სწავლის შედეგების აღწერაში გათვალისწინებული იქნება პროფესიული გამოცდილების მქონე დოქტორანტებიც, ანუ შედეგებში აღწერილი იქნება ის უნარებიც, რომლებიც პრაქტიკულ სფეროში მოღვაწე კურსდამთავრებულს გამოადგება;
6. უმჯობესი იქნება, თუკი შედეგების აღწერაში კონკრეტულად იქნება ის ფილოსოფიური დარგები ჩამოთვლილი, რომლებშიც სტუდენტები შესაბამის უნარებს გამოიმუშავებენ;
7. სასურველია, რომ დაწესებულებამ დაიწყოს მუშაობა სწავლის შედეგების შეფასებაზე სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით და 2024 წლისთვის დაასრულოს პირველი ციკლი;
8. სასურველია, პროგრამის კურიკულუმს თან დაერთოს სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა;
9.დასაქმების მაჩვენებლებს დაერთოს ზოგადი ინფორმაცია სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმების პროფილის შესახებ (კვლევითი ცენტრები, პედაგოგიური მოღვაწეობა და სხვ.);
10. სასურველია, რომ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი ცალკე დოკუმენტის სახით იყოს წარმოდგენილი;
11. სასურველია, პროგრამის ცხრილში (იხ. კურიკულუმი, გვ. 6) სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უფრო მკაფიოდ იყოს გამიჯნული ერთმანეთისგან;
12. სასურველია, უფრო ნათლად გამოიკვეთოს სადოქტორო კოლოკვიუმების სტატუსი (არჩევითი, სავალდებულო) და ის მოექცეს კვლევითი კომპონენტების გრაფაში;
13. სასურველი იქნებოდა, თუკი პროგრამის განვითარების კომიტეტი განიხილავდა საკონტაქტო საათების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობას სასწავლო კურსში Writing for Academic Publication;
14. სილაბუსში „სადოქტორო სემინარი 1“ მოცემული ბმული (გვ. 4) არ იხსნება. სასურველია, თუკი აღნიშნული ბმული შესწორდება გამართული ბმულით;

15. სადოქტორო სემინარი 1-ს ფარგლებში პროსპექტუსის შუალედური ანგარიში ფასდება 35 ქულით (გვ. 3), თუმცა დანართი 1-ში, სადაც პროსპექტუსის შუალედური ანგარიშის ფორმაა მოცემული (გვ. 6-7), მოცემულია ექვსი კრიტერიუმი (ა-ბ, ა-დ), რაც მაქსიმალური ქულების შემთხვევაში 30 ქულას იძლევა და არა 35-ს. სასურველია, რომ ეს ტექნიკური შეცდომა შესწორდეს;
16. სადოქტორო სემინარ 2-ში პროსპექტუსის შუალედური ანგარიში 4 ფასდება 30 ქულით (გვ. 3), თუმცა დანართი 1-ში, სადაც მოცემულია პროსპექტუსის შუალედური ანგარიშის ფორმა და შეფასების მატრიცა (გვ. 6-7), ჩამოთვლილია ხუთი შეფასების კრიტერიუმი, რაც მაქსიმალური ქულების შემთხვევაში 25 ქულას იძლევა და არა 30-ს. სასურველია, რომ აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი შესწორდეს;
17. ზოგიერთი CV გასაახლებელია, რათა მათში უახლესი ინფორმაციის ასახვა მოხდეს;
18. სასურველია, რომ ცალკე დოკუმენტის სახით იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და მათი სამეცნიერო ხელმძღვანელების შესახებ;
19. სასურველია, რომ წარმოდგენილი იყოს პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებლები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფილოსოფიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა.

მეექვსე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამუსიკო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამუსიკო ხელოვნება
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებულია
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 22 იანვრის №22 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამუსიკო ხელოვნების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
15	განხორციელების ადგილი	ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5 თბილისი 0162, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

ელენე ჟურავლოვამ მეექვსე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამუსიკო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რუსუდან თაყაიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დიდი ინტერესით მუშაობდა აღნიშნულ პროგრამაზე. პროგრამა განკუთვნილია მუსიკალური ხელოვნების საერთაშორისო სტანდარტების მქონე სპეციალისტის ჩამოყალიბებისათვის, ის მიზნად ისახავს ჩამოაყალიბოს, გაზარდოს, ხელი შეუწყოს და შესაბამისი გარემო შეუქმნას, როგორც შემსრულებლის ან კომპოზიტორის, ასევე მკვლევარის და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი ადამიანის აღზრდას. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა, 2019 წლის 20 იანვარს, მონიტორინგის დათქმით.

ექსპერტის განმარტებით, პროგრამა ყველა სტანდარტის მიხედვით შეფასდა დადებითად. პროგრამა არის 3 წლიანი, თუმცა შესაძლოა, 5 წლამდეც გაიზარდოს მისი ხანგრძლივობა. ამჟამად პროგრამას ჰყავს 5 სტუდენტი და 6 აკადემიური პერსონალი, ასევე ჰყავს 1 კურსდამთარებული. ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის დახმარებით უნივერსიტეტისგან გამოითხოვა ჩამონათვალი სტუდენტებისა და სადისერტაციო ნაშრომების დასახელებების, რამაც დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა ექსპერტებზე, რადგან ისინი არიან მუსიკალური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები და მათი თემების მომავალი უშუალოდ შეეფერება მათი ინტერესების სფეროს, საქმაიანობას და წარმოადგენს ჩაღრმავებას, რომელიც გულისხმობს საქმიანობის ახლებურ გააზრებას, რაც კარგად ეთანადება პროგრამის მიზნებს. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, ნათელა ბერაიას სადისერატციო ნაშრომი, რომელიც უკვე შექმნილია და მისი ნახვა შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ნაშრომი ითვალისწინებს ახალი ცოდნის შექმნას, რომელსაც მიზნად ისახავს პროგრამა, ეს არის ქართული საფორტეპიანო სკოლის ორი ფუძემდებლის შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის განხილვა და მათი შედარებითი ანალიზი, ასევე ისინი განხილულია დიდ დროით მონაკვეთში, მათი პედაგოგების რამდენიმე თაობის შემოქმედებითი თავისებურებების განხილვით. ბოლოს დართულია ავტორისეული ინტერპრეტაციები და მეთოდოლოგიური რჩევები შოპენის 12 ეტიუდისშესრულებასთან დაკავშირებით. სწორედ ამ ტიპის ცოდნის, ახალი მასალის, დარგისთვის და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროდუქტის შექმნას ისახავს პროგრამა მიზნად.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამუსიკო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლ ებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - კომპონენტი არ ექვემდებარებოდა შეფასებას ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის კრედიტების მითითებული რაოდენობაა 180 კრედიტი, რაც არ ითვალისწინებს საქართველოს კანონს„ უმაღლესი განათლების შესახებ“ მუხლი 46 და საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას კანონმდებლობასთან, რომლის მიხედვითაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტისა, მათი დანარჩენი რაოდენობა კი არ უნდა იყოს მითითებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია, ერთი სახელწოდების ("ასისტირება") მქონე ორი განსხვავებული კურსის შინაარსის (სწავლება თუ კვლევა) და სტატუსის(სავალდებულო თუ არჩევითი)–განსაზღვრა, გამოყოფა და ერთმანეთისგან მკაფიო გამიჯვნა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რუსუდან თაყაიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ წინა აკრედიტაციის ფარგლებში, იყო რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა პროგრამის გაფართოებას და უფრო მეტი სპეციალობების შეთავაზებას მომავალი სტუდენტებისთვის, რაც როგორც თანდართულ შეფასების დოკუმენტში არის აღნიშნული მიმდინარეობს კიდეც. კონკრეტულად ორი ახალი სპეციალობა არის დასახელებული, ეს არის ძველებური მუსიკის მიმართულებით და დირიჟორობის მიმართულებით, რომელიც სრულაიდ თავისფლად შეუძლია უნივერსისტეს წარადგინოს დღესვე.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია, იყო ანალოგიური „ფილოსოფიის“ პროგრამაზე არსებული რეკომენდაციის, თუმცა როდესაც ინსტიტუციამ წარადგინა განახლებული კურიკულუმი გამოტოვებული იყო უკვე წარმოების ვადა, ამიტომ ეს არ აისახა ექსპერტთა დასკვნაში. ინსტიტუციამ ცენტრში წარადგინდა დაკორექტირებული პროგრამის ცხრილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა ლაშხიამ რჩევასთან დაკაავშირებით აღნიშნა, რომ იყო ბუნდოვანი. პროგრამას აქვს სავალდებულო დ არჩევითი კომპონენტი, ხოლო "ასისტირება" მითითებულია ორივე შემთხვევაში, რაც იმას ნიშნავს, რომ დოქტორანტმა სავალდებულოდ უნდა შეასრულოს 12 კრედიტის ოდენობის "ასისტირება", მაგრამ მას ასევე აქვს შესაძლებლობა დაიმატოს 6 კრედიტი. პროგრამაში არის ჯანმში 18 კრედიტის მოცულობის "ასისტირების“ კომპონენტი, თუმცა აქედან სავალდებულო არის 12. რადგან ორივე გრაფაში გაწერილია "ასისტირება" აღნიშნულმა გამოიწვია გაუგებრობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ წარმატებას უსურვებს აღნიშნულ პროგრამას და მის განმახორციელებელ პერსონალს. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ დოკუმენტაციის გაცნობისას აღმოაჩინა რამდენიმე ხარვეზი, რომელიც მისი მოსაზრებით გასათვალისწინებელია. "ასისტირების" კონცეფციის დოკუმენტში, ბუნდოვანი არ არის შინაარსობრივი მხარე, შესანიშნავად არის სტრუქტურირებული, მაგრამ გაუგებარია მიზნობრივი ჯგუფი, თუ ვისთან მოხდება დოქტორანტების ასისტირების კომპონენტის შესრულება, რამეთუ მითითებული არის აქტივობების სხვადასხვა ტიპები, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, საბაკლავრო ნაშრომის რეცენზირება. საბჭოს წევრის მოსაზრებით ეს არის ზოგადი ასისტირება, სხვა პროგრამასთან დაკავშირებითთაც იყო მსგავსი მინიმალური სტანდარტი მოცემული, მაგრამ სამუსიკო მიმართულებით, როგორ მოხდება ასისტირება ამასთან დკაავშირებით სიანტერესო იქნება ინსტიტუციის პოზიცია. ასევე სასწავლო კომპონენტები, რომლებიც აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაში არის, საბჭოს წევრმა განმარტა, რომ შანაარსობრივი და გამოყენებული ლიტერატურის თვალსაზრისით ვერ უძლებს კრიტიკას, რადგან არის ზოგჯერ საბაკლავრომდე არსებული ლიტერატურა გამოყენებული, საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო თუ არა სილაბუსებს. საბჭოს წევრმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ ემხრობა ინსტიტუციის პოზიციას, რომ განახლებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით არ არის მოცემული სილაბუსები და პროგრამა და მათ აქვთ ვადა შესაბამისობაში მოყვანის 2025 წლამდე. სამუსიკო მიმართულების პროგრამებს ამ დრომდე აქვთ ვადა, ალბათ ამიტომ არ აღნიშნეს ექპერტებმა ამის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ადამიამ აღნიშნა, რომ ასისტირებაში მუსიკის მიმართულებით შესაძლებელია საჭირო იყოს დაკონკრეტება, თუმცა პროგრამის წარმომადგენლებმა ასე არ ჩათვალეს, რადგან ტუტორინგი მუსიკაში არის ტუტორინგი,ლექციის ნაწილის წაკითხვასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თავად ყველანი და ასევე ასისტენტები კითხულობენ სხვადასხვა საფეხურზე ლექციებს.საბაკლავრო ნაშრომი შეიძლება გააკეთოს ნებისმიერმა სტუდნეტმა ასევე მუსიკის მიმართულებით, როგორც სხვა მიმართულების სტუდენტებმა. ასევე წერია, რომ არ არის აუცილებელი ასისტენტი იყოს უშუალოდ ხელმძღვანელთან დასაქმებული, შესაძლებელია ასისტენტი სხვა კურს გაუძღვეს. "ასისტირება" არის ასევე თეორიული და ისტორიული კურსები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ვერ ხედავს აქ პრობლემას, რადგან ეს ადამიანები, რომლებიც არიან პროგრამაზე, სწორედ იმიტომ არიან, რომ მათ გარდა პრაქტიკული უნარებისა აქვთ სხვა კვლევითი უნარები და ზოგადად პროგრამას გადიან ძირითადად ისეთი აპლიკანტები, რომლებსაც აქვთ საერთაშორისო დონის ცოდნა და გამოცდილება, ჩართულები არიან ცალკე კურსების სწავლებაშიც კი. რაც შეეხება ლიტერატურას, დაწესებულების წარმომადგენელმა სთხოვა საბჭოს წევრს დაეკონკრეტებინა, თუ რომელ სასწავლო კურსებზე იყო საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ადამიამ აღნიშნა, რომ პროგრამაზე, როგორც წესი მოდიან პრაქტიკოსები, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ნაკლები გამოცდილება კვლევის, იმიტომ, რომ ძირითადად პრაქტიკოს მუსიკოსებს არ აქვთ იმდენი დრო, რომ დაკავებული იყვნენ თეორიული მიმართულებით, ამიტომ პროგრამის წარმომადგენლებმა საჭიროდ ჩათვალეს, რომ მათთვის შეეთავაზებინათდამატებით ისეთი კურსები, რომლებიც სხვა ტიპის დოქტორანტებს შეიძლება არ სჭირდებოდეთ. ლიტერატურა შესაძლებელია იყოს სხვადასხვანაირი, ეს არის მთლიანად ლექტორზე დამოკიდებული და დაწესებულების წარმომადგენელი ხაზს უსვამს, რომ ვერ ხედავს პრობლემას ამასთან დაკავშრებით. პროგრამაზე კვლევის პროცენტი მაქსიმუმ არის 50%, რადგან პროგრამის ხელმძღვანელები ვერ გადაუწყვეტენ მუსიკოსებს თავიანთ შემოქმედებას. პროგრამაზე არიან კომპოზიტორები და შემსრულებლებიც, ისინი თუ 3-დან 5 წლამდე შეაჩერებენ მუშაობას თავის პროფესიის მიმართულებით, ისინი კარგავენ კვალიფიკაციას, ამიტომ სადოქტორო პროგრამა არის ორი

ტიპის, ერთი არის 2/80 და 80% ეს არის დაქოტორო პროტფოლიო, წმინდა პრაქტიკული სამუშაო, რომლის კომენტარებს აკეთებენ, ეს არის ის 20%. 5-დან 10 000 სიტყვამდე. როგორც წესი არ გამოდის 10 000 სიტყვა, რადგან გამოდის უფრო მეტი, რადგან ძალიან საინტერესო ხალხი სწავლობს პროგრამაზე და მათ ბევრი სათქმელი აქვთ. როგორც ქართველი ასევე უცხოელი მუსიკოსებისგან გამოიხატა დიდი ინტერესი სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების. მაღალი ხარისხი არის განმაპირობელი. ლიტერატურა შეიძლება იყოს კურსებში იმ სახით რაც ლექტორმა ჩათვალა საჭიროდ, ამ ეტაპზე ამ ტიპის სადოქტორო პროგრამისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა ლაშხიამ ასისტირებასთან დაკავშრებით დაამატა, რომ უნივერსიტეტში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არის მუსიკის საბაკალავრო პროგრამა 5 მიმართულებით, ეს არის: ელექტრო აკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკა, ეთნო მუსიკოლოგია, კომპოზიცია, ჯაზის ხელოვნება და საკლავიშო ხელოვნება. შესაბამისად სამუსიკო ხელოვნების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტებს შეუძლიათ ასისტირება აღნიშნული მიმართულებებით. საბაკალავრო პროგრამა არის, როგორც ძირითადი ასევე დამატებითი სპეციალობის ფარგლებში და ჰყავს საკმაოდ ბევრი სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ადამიამ აღნიშნა, რომ ჰყავთ სემესტრში 400-დან 500 სტუდენტამდე, პროგრამაზე ნაკლები 80-100 სტუდენტია, მაგრამ როგორც წესი კარგი სტუდენტები არიან. პროგრამის წარმომადგენლებისათვის ხარისხი არის ძალიან მნიშვნელოვანი, როგორც საბაკლავრო ისე სადოქტორო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა ლაშხიამ დამატებით აღნიშნა, რომ კლასიფიკატორთან მოყვანის ანგარიში, როგორც ინსტიტუციის წარმომადგენლებმა იციან, ცენტრიდან აქვთ სპეციალური ვადები. 2025 წლის 30 სექტემბრიდან, 2025 წლის 30 ნოემბრამდე უნდა ჩააბრაოს ინსტიტუციამ, შესაბამისად პროგრამა ზუსტად ამ დროისთვის იქნება მზად კლასიფიკატორთან შესაბამისობით, რომელიც დადასტურებული იქნება წარმოდგენილი ანგარიშით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ადამიამ აღნიშნა, რომ გაფართოებას, არამხოლოდ აღნიშნულ ორ მიმართულებაზე ფიქრობენ, არამედ წელს ამთავრებს ელექტორნული მუსიკის მიმართულებით ერთერთი დოქტორანტი, დოქტურანტურის პროგრამას და პროგრამის წარმომადგენლებს აქვთ იმედი, რომ აღნიშნული დოქტორანტი ჩაერთვება სადოქტორო საფეხურზე სწავლებაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იზიარებს პროგრამის ხელმძღვანელის დამოკიდებულებას, რადგან მუსიკის შემსრულებლები შეიძლება იყვნენ სრულიად გამოუცდელები კვლევით სფეროში და აქ უნდა შეიძნონ ეს უნარები.

საბჭოს წევრმა თამარ ჩხეიძემ დააზუსტა, რომ მას არ ეპარება ეჭვი იმაზე, რომ ინსტიტუცია ორიენტირებულია ხარისხზე, ხოლო შენიშნული ხარვეზის მიზნობრიობა ემსახურებოდა იმას, რომ ის ნიშა, რომელიც აქვს ინსტიტუციას სამუსიკო მიმართულების დოქტორების აღზრდაში მოხდეს მაღალი ხარისხით. მან ასევე დააზუსტა, რომ იკითხება კურსები, როგორიც არის მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები, ასევე კურსი სადაც მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის და ანალიზის მეთოდებზე არის საუბარი, ხოლო მუსიკის თეორიის სახელმძღვნელო, რომელიც კონსერვატორიამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის არის განკუთვნილი, საბჭოს წევრის მოსაზრებით საფეხურის შესაბამისი არა არის.

რაზეც, დაწესებულების წარმომადგენელმა, მარინა ადამიამ აღნიშნა, რომ არ ეთანხმება, რადგან თავად ასწავლიდა ედინბურგის უნივერსიტეტში და ასწავლიდა ამ ტიპის სახელმძღვანელოებიდან საუნივერსიტეტო საფეხურებზე, რადგან მთლიანად წიგნზე არ არის საუბარი, საუბარია გარკვეულ თავებზე, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. ეს წიგნი ძალიან კარგად არის დაწერილი ამერიკელების მიერ, რომელიც არის თარგმნილი ქართულ ენაზე და მისი გამოყენება ხდება ყველა საფეხურზე, როცა მისი საჭიროება არის.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ სილაბუსებში არის საკითხები, რომლის ათვისებაც ერთი ლექციის ფარგლებში რთული იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხებს მიმოხილვითი სახე აქვს, ეს იქნება წყობებზე და ა.შ. ასევე არის მუსიკალურად ინფორმირებული შესრულების კურსი, რადგან შეუძლებელია ერთ კურსში ამოწურო საგანი. მეთოდურ კურსებთან დაკავშირებით ინსტიტუცია იზარებს მოსაზრებას, თუმცა დაინახა ინსტიტუციამ საჭიროება და ამიტომ მოხდა კურსების ასთი სახით აწყობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:31

დასრულების დრო: 20:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამუსიკო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვის საკითხი, კერძოდ დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად 60 დღის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტისა და 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განესაზღვრა 60 დღიანი ვადა "სამუსიკო ხელოვნების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი,

რეკომენდაციები:

1. პროგრამის კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაში უნდა იყოს კანონმდებლობასთან, რომლის მიხედვითაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს, დანარჩენი რაოდენობა კი არ უნდა იყოს მითითებული;

2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები“, „მუსიკალური ნაწარმოების კომპელქსური კვლევის მეთოდები“, „ ისტორიულად ინფორმირებული შემსრულებლობა“, შინაარსი და ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან.

რჩევები:

1. სასურველია, ერთი სახელწოდების ("ასისტირება") მქონე ორი განსხვავებული კურსის შინაარსის (სწავლება თუ კვლევა) და სტატუსის (სავალდებულო თუ არჩევითი) – განსაზღვრა და ერთმანეთისგან მკაფიო გამიჯვნა;
2. წარმოდგენილ სილაბუსებში სწავლის შედეგები მოცემულია ძველი სტანდარტის მიხედვით, რაც ამ ეტაპზე მისაღებია, თუმცა პროგრამის მესვეურებმა უნდა გაითვალისწინონ ახალი მოთხოვნები.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 23 ივლისს 20:15 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ